ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 3 იანვარი, 2020 №1 (8265) ფასი: 60 თეთრი



გვ.5

## გიორგი რურუა პატიმრობაში დატოვეს

## გურიაში 80 წლის ქალი დისშვილმა გაგუდული იპოვა

სახლიდან მერსედესის ჯიპია დაკარგული



გვ.5

# „ივანიშვილი გახარიას შეცვლას აპირებს“



გვ.3

## გურამ ჩალაგაშვილი: „შეუძლებელია, ვინმემ დაიჯეროს, რომ კალაძე რეალური ოპოზიცია გახდება“



## თაკო ჩარკვიანი: „ნინო ბურჯანაძესთან სიაში არ ვიქნები“



გვ.3

„უგულავას განცხადება ნედლი ვერსიაა და გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია“

„რუსულ ვექტორს არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ახალი კოალიციური მმართველობაააყირავოს“

## ბაჩუკი ქარდავა: „გაკოტრებულ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებს ყველა სისტემით მოვუგებთ“

„ივანიშვილი მზად არის, ძალაუფლება ყველა გზითა და ხერხით შეინარჩუნოს“



გვ.3

## მირიან მირიანაშვილი: „ივანიშვილი და „ევროპული საქართველო“ კონსულტაციებს მართავენ“



გვ.4



გვ.2

შინაგან საქმეთა მინისტრი ახალ წელს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად შეხვდა

გვ.2 **გივი თარგამაძე: „პოლიციელების 90% ახლაც ისაა, ვისითაც ვამაყობდით“**

ISSN 1987-9385

**2** ცოტნე გამსახურდია სტამბოლის კლინიკაში გადაიყვანეს

**5** თბილისში ავტობუსი ხეს შეეჯახა
დაიღუპა შუახნის ქალი

**2** დედოფლისწყაროში ქალაქის მთავარი ნაძვის ხე დაიწვა

**6** ინგუშმა პარტიზანებმა რუსებს ახალი წელი „მიულოცეს“

## ცოტნე გამსახურდია სტამბოლის კლინიკაში გადაიყვანეს

პირველი პრეზიდენტის შვილი, ცოტნე გამსახურდია, სამკურნალოდ სტამბოლის კლინიკაში გადაიყვანეს.

ცოტნე გამსახურდია მკურნალობას სტამბოლის ამერიკულ კლინიკაში გააგრძელებს.

ცოტნე გამსახურდია 19 დეკემბერს, საკუთარ სახლთან, ცივი იარაღით დაჭრეს. დაჭრის ფაქტზე პოლიციამ ხუთი პირი დააკავა.

განზრახ მკვლელობის მცდელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულ ოთხ პირს: ტატო ღარიბაშვილს, გიორგი სოლოღაშვილს, პეტრე ყუფარაძესა და კახა ჩხეტიანს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული თორნიკე ქვათაძე კი საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა და სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.



გალის ქუჩაზე პირველი პრეზიდენტის შვილის დაჭრის საქმესთან დაკავშირებით ყოველდღე ახალი დეტალები ირკვევა, თუმცა რადიკალურად განსხვავებული პოზიციები აქვთ როგორც დაზარალებულის, ასევე, ბრალდებულის მხარეს.

## გივი თარგამაძე: „პოლიციელების 90% ახლაც ისაა, ვისითაც ვამაყობდით“



„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, გივი თარგამაძემ, სოციალური ქსელით ძალოვან სტრუქტურებს ახალი წელი მიულოცა.

„მინდა, განსაკუთრებით მივულოცო გადამწყვეტი წელი ჩვენს ძალოვნებს, ჯარისკაცებს, არ გაგიკვირდეთ და სუს-ის, ანტიტერორისტულის, კონტრდაზვერვის თანამშრომლებს, სპეცრაზმელებს, პოლიციელებს.

მესმის თქვენი უმეტესობის მდგომარეობა. პირველად არაა ჩემს ცხოვრებაში. და პირველად ჩვენ ყველანი ერთად ძალზედ ღირსეულად ვემსახურეთ სამშობლოს. დღეს ცოტა უფრო მძიმედაა ყველაფერი. ისიც იმიტომ, რომ ჩვენი ერთად გაკეთებული სტრუქტურა ბევრად მყარია, ვიდრე შევარდნაძის დროინდელი.

მესმის თქვენი გაბრაზება იმის გამო, რომ სულ უფრო ხშირად ისევ ძაღლებს გეძახიან. თანაც, ის ხალხი გეძახით, ვისაც, მერწმუნეთ, ყველაზე მეტად თქვენი ქება გაუხარდებოდათ.

მე კი ზუსტად ვიცი და მინდა, საზოგადოებამაც იცოდეს, რომ პოლიციის პირადი შემადგენლობის 90% ახლაც ისაა, ვისითაც ვამაყობდით. მაგრამ ყველაფერს აფუჭებენ ქოცი მეთაურები, ნათესაობით და ჩვენზე ძალადობით თავგამოჩენილი არამზადები.

ძველი თბილისის პოლიციის უფროსი, გვარს შეგნებულად არ ვწერ, იცოდეს, რომ არასდროს არანაირად არ მოიხსენიება, რომელიც ყვირის, სიცოცხლის ბოლომდე დავიცავ ბიძინასო, პოლიციელი აღარაა, გლუვის ახრანკის წევრია და წერტილი.

დებო და ძმებო, როგორც ყოველთვის, თქვენთან ვარ.

თუ უკვე ისე გიჭირთ, მანდ აღარ დაგედგომებათ, მაგრამ, ოჯახის შენახვის საშუალების გამო იჭირვებთ და რჩებით, ნუ იტანჯავთ თავს, წამოდით, გარწმუნებთ, საზოგადოება მოახერხებს და დაგეხმარებათ, ამათი მარცხის შემოდგომამდე თქვენმა ბავშვებმა არ იგრძნონ ცვლილება.

გილოცავთ, თქვენს ოჯახებს, ახლობლებს ვულოცავ!

სურვილადაც არ ვამბობ, სხვა ვარიანტი არც არსებობს. შემოდგომიდან ერთად გვაქვს ისევ ასაშენებელი ქვეყანა“, – წერს გივი თარგამაძე სოციალურ ქსელში.

## 2020 წლიდან საფინანსო სექტორისთვის ახალი რეგულაცია ამოქმედდება

### რა შეზღუდვა დაწესდება სესხის გამცემი პირებისთვის

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, კომერციული ბანკებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის 2020 წლის 1 თებერვლიდან ახალი შეზღუდვა ამოქმედდება.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 11 ოქტომბრის ბრძანებაშია აღნიშნული.

საუბარია სესხის გამცემი პირებისთვის დაწესებულ შეზღუდვაზე, რომელიც სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების ბანკში გადაგირავებას კრძალავდა.

ეს რეგულაცია ორგანიზაციებისთვის 2019 წლის 1 ივლისიდან უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა, სებ-ის გადაწყვეტილებით, რამდენიმე თვით მისი გადავადება მოხდა.

კერძოდ, როგორც ბრძანებაშია აღნიშნული, მისო-ს და სესხის გამცემ სუბიექტს 1 თებერვლიდან აეკრძალებათ გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონების, მის მიერ აღებული ნებისმიერი სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საგნად გამოყენება.

კომერციულ ბანკებს კი აეკრძალებათ, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირისთვის გაცემული სესხის უზრუნველყოფის საგნად გამოიყენოს ქონება, რომელიც ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტისა და საკრედიტო კავშირის მიერ მიღებულია გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად.

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, სესხის გამცემ სუბიექტს, ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ეკრძალება გამოთავისუფლებული ქონების ჩანაცვლება იმ ქონებით, რომელიც მიღებულია გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული აკრძალვა ასევე მოქმედებს საკრედიტო ხაზის ლიმიტის აუთვისებელ ნაწილზეც. კომერციულ ბანკს, ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაფორმებული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში, ეკრძალება გამოთავისუფლებული ქონების ჩანაცვლება იმ ქონებით, რომელიც მიღებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირის მიერ გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული აკრძალვა ასევე მოქმედებს საკრედიტო ხაზის ლიმიტის აუთვისებელ ნაწილზეც,“ – აღნიშნულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 30 მაისის ბრძანებაში, რომლის ამოქმედებაც 1 ივლისიდან იგეგმებოდა, თუმცა, სებ-ის პრეზიდენტის 11 ოქტომბრის ბრძანებით, 2020 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდება.

ეს შეზღუდვა სებ-მა აქამდე, 2019 წლის ზაფხულშიც გადაავადა. კერძოდ, მაშინ გადავადება 2019 წლის 1 ნოემბრამდე მოხდა.

## სოფელ კორეეთის ერთადერთ მცხოვრებ ავთანდილ მხეიძეს ზვიად შალამბერიძემ ახალი წელი მიულოცა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კორეეთში მარტოდ მცხოვრებ ავთანდილ მხეიძეს შობა-ახალი წელი მიულოცა.

ავთანდილ მხეიძე ერთადერთი ადამიანია, რომელიც აღნიშნულ სოფელში ხვდება 2020 წელს. იგი თითქმის 30 წელია, კორეეთში ცხოვრობს და სოფელი არასდროს დაუტოვებია.

– ახალი წელი მივულოცე ჩვენი რეგიონის ყველაზე მცირეკომლიან სოფელში მცხოვრებ ერთ ადამიანს. უკვე წლებია, ბატონი ავთო სოფელ კორეეთის ისტორიას მარტო წერს და ერთი წუთით არ უფიქრია საცხოვრებლად სხვაგან წასვლაზე.

ეს არის ადამიანი, რომელმაც ათეული წლის წინ დატოვა ქალაქი და სოფლის მეურნეობის განვითარება დაიწყო და დღესაც აქტიურად მიყვება მეცხოველეობის დარგს. მადლობა ბატონ ავთოს, რომ არ ტოვებს წინაპრების დატოვებულ სახლ-კარს და აძლიერებს სოფელს, – განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კორეეთში წლების წინ 15 კომლი ცხოვრობდა.

## თბილისში 4 იანვარს მოთოვს

თბილისში 4 იანვარს, ღამისა და დილის საათებში მცირე ნალექია მოსალოდნელი. ქალაქის გარეუბნებში კი შესაძლებელია მცირე თოვლი მოვიდეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გრძელვადიანი პროგნოზების მთავარმა სპეციალისტმა ნინო წვერავამ განუცხადა.

მისივე თქმით, ტემპერატურა ხვალ 7 გრადუსამდე აიწევს.

– თბილისში 3 იანვარს უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ტემპერატურა დაახლოებით 7 გრადუსამდე აიწევს. 4 იანვარს, მცირე ნალექია მოსალოდნელი ღამისა და დილის საათებში. ქალაქის გარეუბნებში კი მცირე თოვლია შესაძლებელი. 4 იანვარს, ღამის ტემპერატურა +1 გრადუსი იქნება, ხოლო ღამის ტემპერატურა 5 გრადუსამდე იქნება. 5 იანვრიდან უნალექო ამინდია მოსალოდნელი და ტემპერატურა დაახლოებით 10 გრადუსამდე აიწევს, – განაცხადა ნინო წვერავამ.

დასავლეთ საქართველოში 8 იანვრამდე უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ხვალიდან კი დასავლეთ საქართველოში გამოიდარებს. 7 იანვრამდე უმეტესად უნალექო ამინდი შენარჩუნდება.

აღმოსავლეთს საქართველოში კი 3 და 4 იანვარს ზოგან მოსალოდნელია მცირე ნალექი, 7 იანვრამდე, ღამით, ტემპერატურა დაახლოებით -3 + 2 გრადუსის ფარგლებში შენარჩუნდება, დღის ტემპერატურა კი 5 -10 გრადუსის ფარგლებში იქნება.

## ავარია კახეთის გზატკეცილზე

### 3 ადამიანი დაშავდა



გუშინ, 2 იანვარს, კახეთის გზატკეცილზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა.

ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

## დედოფლისწყაროში ქალაქის მთავარი ნაძვის ხე დაიწვა

დედოფლისწყაროში ქალაქის მთავარი ნაძვის ხე დაიწვა.

ცენტრალურ მოედანზე დამონტაჟებულ ნაძვის ხეს ცეცხლი 1 იანვარს ღამით გაუჩნდა, მთლიანად არის განადგურებული განათება და მოსართავები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ვერ ამბობს, რა შეიძლებოდა გამხდარიყო ნაძვის ხის დაწვის მიზეზი.

– შემთხვევა ღამით მოხდა, სამწუხაროდ, დაიწვა ნაძვის ხე. რა გახდა მიზეზი, ამ ეტაპზე არ ვიცით. მიმდინარეობს გამოძიება, – ამბობს ჯანიაშვილი.

დედოფლისწყაროს მთავარი ნაძვის ხე მუნიციპალიტეტმა 2012 წელს შეიძინა.

მერის ინფორმაციით, მალე ახალ ნაძვის ხეს იყიდიან, რომელიც შობის დღესასწაულისთვის ქალაქის ცენტრი თავიდან მოირთვება.

მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს.

## რა თანხაა საჭირო საქართველოში 4-სულიანი ოჯახის სარჩენად

2019 წლის ნოემბრის მონაცემების მიხედვით, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი საქართველოში 173.3 ლარი, ოთხსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი კი 346.5 ლარია.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ როგორია თვეში ერთი ადამიანის ხარჯი და შემოსავალი საშუალოდ, მინიმუმ რა ოდენობის თანხაა საჭირო ოთხსულიანი ოჯახის სარჩენად და არის თუ არა ამისთვის 346.5 ლარი საკმარისი.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე საშუალო თვიურმა სამომხმარებლო ფულადმა ხარჯმა 2018 წელს 208.7 ლარი შეადგინა. საქსტატის მონაცემებით, სამომხმარებლო ფულად ხარჯებში შედის სურსათი, სასმელი, თამბაქო, ტანსაცმელი, განათლება, ფეხსაცმელი, ჯანმრთელობის დაცვა, ტრანსპორტი, გათბობა, ელექტროენერგია, საოჯახო მოხმარების საქონელი და სხვა.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენს ხარჯავს ადამიანი საშუალოდ თითოეულ მათგანზე, საქსტატის მონაცემებით, სურსათზე, სასმელსა და თამბაქოზე 208.7 ლარიდან გათვალისწინებულია 78.1 ლარი, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე 9.2 ლარი იხარჯება, საოჯახო მოხმარების საქონელზე – 8.5 ლარი, ჯანმრთელობის დაცვაზე 26 ლარია გათვალისწინებული, ელექტროენერგიასა და გათბობაზე კი – 27.1 ლარი, ტრანსპორტზე – 22.3, განათლებაზე – 7.2 ლარი, სხვა სამომხმარებლო ხარჯებზე კი 30.3 ლარია გათვლილი. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით თუ გამოვიანგარიშებთ, გამოდის, რომ ოთხსულიანი ოჯახის შენახვა საქართველოში ყოველთვიურად საშუალოდ 834.8 ლარი დაჯდება. შეგახსენებთ, რომ აქ შედის მხოლოდ სამომხმარებლო ფულადი ხარჯები, რომელშიც იგულისხმება საკვები, სასმელი, ტრანსპორტი, ჯანდაცვა და ა.შ.

რაც შეეხება შემოსავლებს, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, 2018 წელს საშუალო თვიური ფულადი შემოსავალი ერთ ადამიანზე 264.3 ლარი იყო. ცნობისთვის, ფულად შემოსავალში შედის – დაქირავებული შრომა, თვითდასაქმება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული თანხა, პენსია, გზავნილი და ა.შ.

შესაბამისად, თუ ოთხსულიან ოჯახში საშუალო ფულადი შემოსავალი (პენსია, გზავნილი, თვითდასაქმება და ა.შ.) მხოლოდ ერთ ადამიანს აქვს, ოჯახის შემოსავალი საშუალოდ 264.3 ლარს შეადგენს, მაშინ როდესაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხსულიან ოჯახს მხოლოდ სამომხმარებლო ხარჯების დასაფარად საშუალოდ 834.8 ლარი სჭირდება. შესაბამისად, გამოდის, რომ ოჯახში სამი საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანის მუშაობის შემთხვევაშიც კი, ფულადი შემოსავალი თვიურ სამომხმარებლო ფულად ხარჯზე ნაკლები იქნება.

## შინაგან საქმეთა მინისტრი ახალ წელს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თბილისის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ეწვია და თანამშრომლებს ახალი, 2020 წლის დადგომა პირადად მიულოცა. ვახტანგ გომელაურმა მათ ჯანმრთელობა, მშვიდობა და წარმატებები უსურვა.

მინისტრთან ერთად ახალი წელი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს მისმა მოადგილეებმაც მიულოცეს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს ქვეყნისათვის გაწეული სამსახურისა და სიმამაცისთვის მადლობა გადაუხადა.

## აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა აჭარის მაღალმთიანი სოფლის ერთადერთ მოსწავლეს ახალი წელი მიულოცა



შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი კონსტანტინე ანანიაშვილი შვილთან, ნიკოლოზთან ერთად ქედის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფელ ნამონასტრევში 6 წლის ნიკუშა თურმანიძეს ესტუმრა და ახალი წელი მიულოცა.

პატარა ნიკუშა სოფელ ნამონასტრევის საჯარო სკოლის ერთადერთი მოსწავლეა. იგი პოლიციელობაზე ოცნებობს. კონსტანტინე ანანიაშვილმა ბავშვს, სხვა საჩუქრებთან ერთად, პოლიციელის ფორმა გადასცა და პოლიციის ავტომანქანით გაასეირნა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი გახარიას შეცვლას აპირებს“

## გურამ ჩალაგაშვილი: „შეუძლებელია, ვინმემ დაიჯეროს, რომ კალაძე რეალური ოპოზიცია გახდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **გურამ ჩალაგაშვილი** პასუხობს.

***– ბატონო გურამ, როგორი იყო თქვენთვის გასული 2019 წელი?***

– საკმაოდ მნიშვნელოვანი წელი იყო. მე ვიტყოდი, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანიც. ამ წელს ჰქონდა ბევრი დადებითი მხარეც.

***– რა თვალსაზრისით?***

– დადებითი იმ კუთხით, რომ საკმაოდ გააქტიურდა და გამოცოცხლდა პოლიტიკური სპექტრი. ოპოზიცია, როგორც არასდროს, ისეთი ერთიანია. დღევანდელი ხელისუფლება არის პირდაპირ პრორუსული ორიენტაციის და არანაირი დასავლური კურსი მას არ აქვს, ოპოზიციის შრომის შედეგად ეს საბოლოოდ იქნა გამოაშკარავებული და ეს უკვე დაინახეს ხელისუფლების მხარდამჭერებმაც.

ეს პროცესი კი ხელს შეუწყობს იმას, რომ 2020 წლის არჩევნებზე ქვეყანა დადგეს სწორ რელსებზე და საბოლოოდ ეშველოს. სწორედ ამიტომ შეგვიძლია, დადებითად შევაფასოთ ეს ყველაფერი.

უარყოფითი მხარეები არის ის, რომ საკმაოდ იმატა რეპრესიებმა, პრაქტიკულად ყველა ზღვარს გადავიდა ხელისუფლება.

***– პოლიტიკური ნიშნით დევნილები გვყავს ქვეყანაში, პოლიტპატიმრები.***

– რა თქმა უნდა, პოლიტპატიმრები გვყავს და არა ერთი და ორი, ათობით. პირველი გახლავთ ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც დაბრუნდა ქართულ პოლიტიკაში 12 წლის შემდეგ, რომელმაც შექმნა პოლიტიკური გაერთიანება და პარტიის შექმნიდან და საფრანგეთიდან დაბრუნებიდან ერთ კვირაში დააკავეს. ერთ კვირაზე მეტი ვერ გაუძლო ხელისუფლებამ მის აქტიურობას. დააკავეს და დღემდე პატიმრობაშია. ასევე პატიმრობაშია მისი დაცვის წევრი და ახლო მეგობარი.

***– კეთდება შეფასებები, რომ 2020 წელს ეს წნეხი კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგან საარჩევნო წელია. მალე ივანიშვილი სამთავრობო კარუსელს გეგმავს, გახარიას თალაკვაძით ჩაანაცვლებსო. ამაზე რას იტყვით?***

– უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ივანიშვილი გახარიას აუცილებლად შეცვლის. ეს იქნება კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი მათთვის, იმიტომ, რომ გახარიასნაირი წონიანი ფიგურა არ ჰყავს ივანიშვილს. თალაკვაძე გახარიას ნახევარი კი არა, მეოთხედიც არ არის და ვერც იქნება ვერასდროს.

***– მის გუნდში გახარია ერთ-ერთ ძლიერ ფიგურად აღიქმება და ასე მარტივად მოიშორებს?***

– მას ძალიან გაუჭირდება გახარიას მოშორება. გახარიას მოშორებით ივანიშვილი დასავლეთს დაანახვებს, რომ მან გადადგა ევროპისკენ ნაბიჯი, რადგან ყველამ ვიცით, რომ გახარია არის პირდაპირ რუსეთის მიერ დანიშნული კაცი, რომელმაც უნდა გაატაროს რუსული პოლიტიკა. გახარიას ასე მარტივად ვერ აკონტროლებს ივანიშვილი და ამიტომაც გახარია მისთვის არის დისკომფორტი.

***– გახარია ივანიშვილს არ ემორჩილება, უჭირს მისი კონტროლი?***

– ივანიშვილი საერთოდ ვერ აკონტროლებს გახარიას და ვერც გააკონტროლებს. თავისი გაუაზრებელი ნაბიჯებითაც კარგად გვაჩვენებს ამას ივანიშვილი. პატრიარქის აღსაყდრების აღსანიშნავ ღონისძიებაზე, სადაც გახარიაც იმყოფებოდა და ივანიშვილიც, ივანიშვილმა, რომელიც არის მხოლოდ პარტიის თავმჯდომარე და არანაირი თანამდებობის პირი, საქართველოს პირველ პირს, პრემიერ-მინისტრს, არ აცალა სიტყვით გამოსვლა, მიმართვა და გახარიასაც და დანარჩენებსაც უთხრა – აქ მე ვარ მთავარი და თქვენ არაფერს წარმოადგენთო.

ამის მერე კიდევ აქტიურად დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, რომ ივანიშვილი გახარიას შეცვლას აპირებს, რადგან უჭირს მისი კონტროლი და არც გახარია ემორჩილება დიდად.



***– ანუ მათ შორის არის დაძაბულობა და დასავლეთიც სთხოვს ივანიშვილს, მოიშოროს გახარია?***

– გახარიას ძლიერი ზურგი აქვს და ეს არის რუსეთი. ივანიშვილი წლებია ცდილობს, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური. პოლიტიკაში ასეთი რამ არ ხდება, შეუძლებელია, რომ რუსეთისთვისაც მისაღები ფიგურა იყოს ადამიანი და დასავლეთისთვისაც. ეს გამორიცხულია. ან ერთს მოსწონხარ და გიმაგრებს ზურგს, ან მეორეს.

არჩევნებამდე დარჩა რამდენიმე თვე და ძალიან რთულია, როდესაც 7 წელიწადზე მეტია, ატყუებ დასავლეთს და ეუბნები, რომ ხარ მისი მხარდამჭერი და ამ დროს მიდიხარ რუსეთისკენ, 8 თვეში ეს ყველაფერი დააჯეროს ივანიშვილმა დასავლეთს.

***– შიგნით რა სიტუაცია აქვს „ოცნებას“, ვის ემორჩილებიან მინისტრები და ვის სიტყვას აქვს მეტი ფასი?***

– ივანიშვილის სიტყვა უფრო მნიშვნელოვანი იქნება ყველა მინისტრისთვის. შეიძლება, ერთი-ორი მინისტრი იყოს ისეთი, რომლებიც გახარიასაც ემორჩილებიან და ივანიშვილსაც, ერთსაც ასიამოვნებენ და მეორესაც. ფაქტია, რომ არც ერთი მინისტრი საქმეს არ აკეთებს, ქვეყანა მიდის უკან.

***– ისიც ითქვა, რომ კახი კალაძეც ემზადება ოპოზიციაში გადასასვლელად. დაიშლება საბოლოოდ „ქართული ოცნება“? ან „ოცნების“ წიაღში ხომ არ წარმოიქმნება მართული ოპოზიცია?***

– ვერაფერს გეტყვით, შეთქმულების თეორიების არ მჯერა ხოლმე, მაგრამ ფაქტია, რომ ივანიშვილი ყველა ნაბიჯს გადადგამს, რათა როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლება.

ძალიან რთულია, დღეს ვინმემ დაიჯეროს, რომ ივანიშვილს აუჯანყდნენ თუნდაც მაჟორიტარები. შეუძლებელია, ვინმემ დაიჯეროს, რომ კახი კალაძე გახდება რეალური ოპოზიცია. შეუძლებელი და, ფაქტობრივად, გამორიცხულია, არჩილ თალაკვაძე ან კობახიძე არ ემორჩილებოდნენ ივანიშვილს.

ივანიშვილს ემორჩილება ყველა, იმორჩილებს ყველას. ვინც საღად აზროვნებს, ის ცდილობს, ივანიშვილთან კავშირი არ ჰქონდეს. შეიძლება, ცდილობდნენ კიდეც, რეალურად მოშორდნენ ივანიშვილს, მაგრამ ეს ძალიან რთული იქნება.

***– რატომ იქნება რთული?***

– ეს შეიძლება გააკეთო წლებით ადრე, ვიდრე არჩევნები მოვა, როდესაც არჩევნებამდე 4-5 თვით ადრე სადღაც გაიქცევი და აბუნტებულის როლის თამაშს დაიწყებ, ამით ბევრს ვერ დააჯერებ. კახი კალაძე შეიძლება ცალკე თამაშში იყოს იმ კუთხით, რომ მას ჰყავს თავისი მხარდამჭერები, მას აქვს თავისი რეიტინგი, მას ჰყავს თავისი მიმდევრები, მისი მხარდამჭერები და კალაძე შეეცდებიან, რომ ეს ხმები აიღონ და გაუყონ ისევ „ქართულ ოცნებას“.

***– რას აპირებს ოპოზიცია 2020 წელს? კიდევ ერთი ინიციატივა მოვისმინეთ გიგი უგულავასგან, რომ ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერი ერთ სიაში ვიქნებით და ერთი სიით გავალთო. რა გეგმები გაქვთ, როგორ უნდა შეძლოთ ივანიშვილის დამარცხება?***

– ივანიშვილს შევუტევთ ბოლომდე. მან უკვე საკმაოდ დიდი დარტყმა მიიღო ოპოზიციისგან. მან მოახერხა ის, რაც ვერ მოახერხა ვერც ერთმა ლიდერმა საქართველოში – მთელი ოპოზიცია გაგვაერთიანა.

ჩვენ ყველას ერთი საერთო მტერი გვყავს, „ქართული ოცნება“ და, შესაბამისად, თუ ივანიშვილი არ დათმობს და არ წამოვა გერმანულ მოდელზე, მაშინ ოპოზიცია ვამბობთ, რომ ჩვენ აუცილებლად შევთანხმდებით, რომ ჩავატაროთ არჩევნები თითო კანდიდატით, ყველა მაჟორიტარულ ოლქში, რაც დამანგრეველი იქნება „ოცნებისთვის“. მთელი ოპოზიციური სპექტრი იმუშავებს ერთიანად და მინიმუმ 90%-ს ივანიშვილი წააგებს მაჟორიტარული ოლქებისას.

ამის შედეგად უმრავლესობა იქნება ოპოზიციისა და ამის შემდეგ შევა ყველანაირი ცვლილება საარჩევნო კანონმდებლობაში და ამის შემდეგ 6-7 თვეში ჩატარდება არჩევნები პროპორციული სისტემით.

***– ანუ ამ ვარიანტს აქტიურად განიხილავთ?***

– რა თქმა უნდა! ეს ძალიან მარტივი ვარიანტია და ერთ-ერთი მარტივი გზა არის ამ ხელისუფლების დასამარცხებლად. უბრალოდ, ივანიშვილის მხრიდან გაჯიუტება და დათმობაზე არწამოსვლა კიდევ ერთი ღია განცხადებაა მისი მხრიდან, რომ მას ქვეყანა არ აინტერესებს.

მისი ერთადერთი მიზანი ხელისუფლების შენარჩუნებაა და ის შეეცდება, ამის გამო ყველაფერზე წავიდეს, თუმცა ვაფრთხილებთ მას, რომ ეს აღარ გამოუვა!

ივანიშვილო, შენ უკვე დამთავრდი!

# თაკო ჩარკვიანი: „ნინო ბურჯანაძესთან სიაში არ ვიქნებით“

## „უგულავას განცხადება ნედლი ვერსიაა და გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია“

იაგო ნაცვლიშვილი

რა მოვლენებით გამოირჩა 2019 წელი? რა გამოწვევებია ამ წელს და რა მოლოდინი არსებობს 2020 წელს? – ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტიის „კანონი და სამართალი“ დამფუძნებელი, გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **თაკო ჩარკვიანი** საუბრობს.

***– რომელ პოლიტიკურ საკითხებს გამოარჩევდით 2019 წლიდან?***

– დავიწყებ დადებითით და ეს არის ის, რაც სულ რამდენიმე დღის წინ გავიგეთ. ძალიან გამიხარდა, რომ ოკუპანტების მიერ დაპატიმრებული ვაჟა გაფრინდაშვილი გაათავისუფლეს და ახალ წელს საკუთარ ოჯახში შეხვდა. ვულოცავ მის ოჯახსა და მთელ საქართველოს.



ეს არის დადებითი მოვლენა.

ახალი წლის დღეებში მეუხერხულება ამაზე საუბარი, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირითადად უარყოფით მოვლენებს ვხედავ. ჩვენ ისეთი მოვლენები გადავიტანეთ გავრილოვის ღამის გამო, რომ ეს უკვე შევიდა ისტორიაში. პრაქტიკულად უკვე დაემართა ამ ხელისუფლებას ეს და ახალგაზრდებს თვალები დასთხარეს. ამაზე დიდი და საშინელი რა უნდა დაგემართოს, როდესაც მომავალ თაობას შეიძლება გადაუხადო სამაგიერო სახელმწიფოებრიობის დაცვისთვის?!

უარყოფითი იყო ისიც, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მოქმედი კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი გავრილოვი იჯდა პარლამენტის თავმჯდომარის სპიკერის სავარძელში. დიდი სირცხვილი დაგვემართა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ბაჩუკი ქარდავა: „გაკოტრებულ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებს ყველა სისტემით მოვუგებთ“

## „ივანიშვილი მზად არის, ძალაუფლება ყველა გზითა და ხერხით შეინარჩუნოს“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **ბაჩუკი ქარდავა** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ბაჩუკი, როგორც შეაფასებთ 2019 წელს, როგორი წელი იყო, ერთი მხრივ, ოპოზიციისთვის და, მეორე მხრივ, ხელისუფლებისთვის?***

– განებავთ, მწარე ხუმრობად ჩამითვალეთ, განებავთ, ირონიად, ეს წელი იყო ზუსტად ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო ბიძინა ივანიშვილის მიერ დაპირებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ. ტყუილების, გადაგდებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გაუარესების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უკიდურესად გაუარესების, ხალხის გაღარიბების წელი იყო.

წლის მეორე ნახევარი ხელისუფლებისთვის გაცილებით მძიმე აღმოჩნდა. ხელისუფლებამ, რომელიც კორუფციისა და სხვა ტიპის დანაშაულებში იყო ჩაფლული, უკვე 20 ივნისის დანაშაული ჩაიდინა. ასევე, აშკარად გამოიკვეთა პრორუსული ორიენტაცია, რომელიც აქამდე, ასე თუ ისე, ინიღბებოდა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ საკუთარი თავი გასცა სწორედ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. ივანიშვილი მზად არის, ყველა გზითა და ხერხით შეინარჩუნოს ძალაუფლება. ეს აშკარად გამოჩნდა სწორედ წლის მეორე ნახევარში.

დემოკრატიის, კანონის უზენაესობის სრული უგულებელყოფა, კორუფციის მაღალი დონე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ადამიანების გაუსაძლისი ყოფა – აი, ეს ყველაფერი ქმნის იმის საფუძველს, რომ ქვეყანაში მოხდეს რადიკალური ცვლილებები და შეიცვალოს ბიძინა ივანიშვილის მმართველობა.

***– ერთ-ერთი საკვანძო საკითხი ოპოზიციისთვის საარჩევნო სისტემის ცვლილებაა. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება არსებული მოდელით შეეცდება 2020 წლის არჩევნების ჩატარებას თუ ამას ოპოზიცია არ დაუშვებს?***

– ოპოზიცია ამას არ დაუშვებს! ამის პირობას ახლავე ვაძლევ ხელისუფლებას და პირადად ბიძინა ივანიშვილს, რადგან მან დადებული პირობა უნდა შეასრულოს.

ხელისუფლება აუცილებლად მიიღებს ისეთ წინააღმდეგობრივ ფრონტს არა მხოლოდ ოპოზიციის მხრიდან, არამედ ქართველი ხალხისგან, რომ მას გაუჭირდება, ხალხს წინააღმდეგობა გაუწიოს. ნამდვილად არ ეყოფა, ვერაფერს გახდება ბიძინა ივანიშვილი რობოკოპებითა და წყლის ჭავლით, ხალხის აღშფოთებას ამით ვერ ჩაახშობს. როდესაც ხალხს სხვა გზა აღარ ექნება, ივანიშვილი ამ ხალხს ქუჩაში მიიღებს. ამიტომ საჭიროა, დროზე მოეგოს გონს.

***– პროპორციულ არჩევნებზე საუბრობთ, როგორც დაპირება იყო?***

– დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობ. უნდა მოხდეს საარჩევნოს სისტემის რეალური ცვლილება, როგორც ეს მან უთხრა ხალხს და ამით არსებული ფონი ცოტათი დამშვიდდება.

პროპორციული არჩევნები არ არის არავისი ახირება. ეს არის ხალხის ნება, რომელიც ხელისუფლების ცვლილებას უკავშირდება. დიახ, დღეს ხალხის ნებაა ხელისუფლების ცვლილება. თუმცა, აქვე დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მოქმედი შერეული სისტემითაც გაკოტრებულ „ქართულ ოცნებას“ ჩვენ არჩევნებს მოვუგებთ. მაჟორიტარებითაც ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებაში დარჩენის შანსი არ აქვს.

***– მაინც რატომ წაიღო თავისი სიტყვები უკან? ფიქრობთ, შიდა კვლევებმა მას სხვა სურათი უჩვენა?***

– რა თქმა უნდა! ბიძინა ივანიშვილი უჯიანდება პროპორციულ სისტემას იმიტომ, რომ იცის, ამ სისტემით ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს. ამიტომ „გადააგდო“ ხალხი ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც. ის მზად არის, ყველაფრის ფასად, საერთაშორისო რეპუტაციის ფასად, იმის ფასად, რომ გამოაშკარავდა მისი ჩანაფიქრი, ძალაუფლება შეინარჩუნოს, მაგრამ ეს არ გაუვა. მას მოუწევს, შეცვალოს არსებული საარჩევნო სისტემა და პროპორციულზე გადავიდეს. ამას ის აუცილებლად გააკეთებს.

***– როგორ, რომ არ აპირებენ?***

– არც მოლაპარაკების მაგიდასთან აპირებდნენ დასხდომას. ხომ გახსოვთ, როგორ გვითხრეს, თემა დახურულია, არჩევნებისთვის მოემზადეთო, მაგრამ დასხდნენ.

ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი გვაქვს. ყველა ტიპის კრიზისი სახეზეა, ხალხი ცვლილებებს ითხოვს, ამიტომ მაინც მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ლეგიტიმაციისგან სრულად დაცლილ, ფაქტობრივად, გარდაცვლილ ხელისუფლებას. აზრს დაკარგავს ლეგიტიმაციის არმქონე ხელისუფლება. ძალაუფლების უზურპაცია კი, არა მგონია, ივანიშვილისთვის გამოსავალი იყოს შექმნილი ვითარებიდან.



***– ვადამდელ არჩევნებს გამორიცხავთ, თუ გაზაფხულზე პოლიტიკური ვითარება დაიძაბება?***

– ძალიან გაჭირდება ვადამდელ არჩევნებზე საუბარი სამართლებრივად, კონსტიტუციურად, რადგან ოქტომბერში ისედაც გვიწევს არჩევნები, თუმცა არც არაფერს გამოვრიცხავ ივანიშვილის მმართველობის პირობებში.

პოსტსაახალწლოდ, არა მგონია, ვადამდელი არჩევნების ჩატარება გაბედოს. თუმცა, ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაბარების თვალსაზრისით, ეს იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება.

# მირიან მირიანაშვილი: „ივანიშვილი და „ევროპული საქართველო“ კონსულტაციებს მართავენ“

მარიამ მჭედლიშვილი

რა ხდება საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში 2020 წლის დამდეგს? – ამაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ **მირიან მირიანაშვილს**.

***– ამბობდით, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩავარდნის შემდეგ მოსალოდნელია ხელისუფლებისა და მასთან აფილირებული ოპოზიციის სისტემური კრიზისი. რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით?***

– კრიზისს ბევრი არაფერი უკლია. 14 დეკემბრის შემდეგ გამოცხადდა პაუზა. „ქართული ოცნება“ ე.წ. ოპოზიციასთან ერთად, რუსეთის გეგმის შესაბამისად, ხელოვნურად იწვევდა რიგგარეშე არჩევნებს. ამასთან დაკავშირებული ბევრი სცენა ვიხილეთ. დაგეგმილი იყო კიდევ უფრო დრამატული მოვლენები, რომლებიც მიგვიყვანდა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე.

ამ არჩევნებით რუსეთი უმტკივნეულოდ ჩაანაცვლებდა ერთ პოლიტიკურ ძალას მეორით. ორგანიზატორების გათვლით, ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა აშშ-ს საქართველოსთვის ნაკლებად ეცლებოდა. ამაში ხელი მოეცარათ.

***– ეს პაუზა სანამდე გაგრძელდება? რუსეთის ხელისუფლება საქართველოს, ალბათ, ჯერ არ შეეშვება.***

– ახალი რეალობის ძიება სწორედ ახლა მიმდინარეობს. ახალ პოლიტიკურ ქართულ სცენარებზე მუშაობს რუსი პოლიტტექნოლოგების 3 ჯგუფი. სამივე გუნდის სქემა ავრალურია და, სავარაუდოდ, მათი განხორციელება თებერვალში დაიწყება. წინა გეგმით, გაზაფხულზე უკვე რიგგარეშე არჩევნები უნდა გამართულიყო.

***– ამბობდით, რომ რიგგარეშე არჩევნების ჩაფლავების შედეგად სრული ფიასკო განიცადეს ბოკერიამ და მისმა „ევროპულმა საქართველომ“. დეკემბრის ბოლოს ამავე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ განაცხადა, რომ „ევროპული საქართველო“ იქნება პოსტბიძინისტური პერიოდის პოლიტიკის არქიტექტურის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი.***

– 30 წელიწადია, ვმონაწილეობ პოლიტიკაში. ვყოფილვარ ბევრი რამის ავტორიც და დამკვირვებელიც. ჯერ არ გამიგია, რომ საქართველოს რომელიმე პოლიტიკოსს ეღიარებინოს



წარუმატებლობა. საქართველოში პოლიტიკოსები ყველაფერს გამარჯვებად ხატავენ.

***– სააკაშვილმა რომ 2008 წელს რუსთაველზე ომში გამარჯვება იზეიმა, ესეც არ იყო გასაკვირი?***

– რასაკვირველია. საქართველოში სხვებიც ასე იქცევიან. დაღვინებულ პოლიტიკურ სისტემებში გამოცდილი ლიდერები ყოველთვის აღიარებენ შეცდომებსა და მარცხს. რუსეთი ფსევდოდასავლურ „ევროპულ საქართველოზე“ დიდ იმედს ამყარებდა. წელიწად-ნახევარზე მეტია, ცდილობდნენ ძალაუფლების ამ პარტიისთვის გადაბარებას. ის უნდა ყოფილიყო გადაბარების სუბიექტი.

***– იქნებ ახლაც რჩება გადაბარების სუბიექტად?***

– რუსეთის ხელისუფლებასა და მის პოლიტტექნოლოგებს ბევრჯერ მოეცარათ ხელი. ისინი აშკარად მოიკოჭლებენ, თუმცა, არც იმდენად გამოშტერდებოდნენ, რომ ბევრჯერ გაჭრილი კარტით ითამაშონ. უფრო ზუსტი ინფორმაცია რუსეთის ახალ სცენარებზე დაახლოებით ორ კვირაში მეცოდინება. თუ ინტერესი იქნება, „ახალ თაობას“ ამაზე ინფორმაციას ექსკლუზიურად მოგაწვდით.

***– შესაძლოა, „ევროპული საქართველო“ სხვებით ჩაანაცვლეს?***

– გადაბარების სხვა, მთავარი სუბიექტი ჯერ არ გამოკვეთილა, თუმცა ახალი წლის წინ მოხდა ზოგიერთი პარტიის გაპიარება. აშკარა გახდა ის, რასაც დიდი ხანია ვამბობ – რუსეთის სახელმწიფო დუმის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე კალაშნიკოვი კურირებს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“. ამაში ქართული პოლიტელიტა არ მეთანხმებოდა.

***– „ალიანსი“ დაუფარავად აწყობს შეხვედრებს კალაშნიკოვთან. ვაჟა გაფრინდაშვილზეც ისაუბრეს.***

– ხვდება კი არა, კალაშნიკოვი ინაშვილის პარტიის კურატორია. ეს ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლების პროცესმა დაამტკიცა. „პატრიოტთა ალიანსი“ ამბობს, პროქართული ძალა ვართო. შეიძლება ქართულ პარტიას ჰყავდეს კურატორი დუმის დსთ-ისა და ევრაზიულ საკითხთა კომიტეტიდან?!

პოლიტტექნოლოგების სამი ჯგუფიდან, რომლებიც ვახსენე, ერთი დუმის თავმჯდომარე ვოლოდინს ექვემდებარება. „ალიანსს“ ვოლოდინთანაც აქვს კავშირი. მას ენდომება ამ პარტიის წინ წამოწევა. გადაბარების ისეთ სუბიექტად, როგორიც „ევროპული საქართველო“ იყო, „პატრიოტთა ალიანსი“ ვერ ჩაითვლება. ინაშვილის ხალხი, ალბათ, იგეგმება ერთ-ერთ მოთამაშედ.

***– თებერვლამდე ქართულ პოლიტიკაში არაფერი მოხდება? პოლიტიკოსები ბევრ რამეს აანონსებენ.***

– ეს პოლიტიკოსები რომ დამოუკიდებლები არ არიან და თავისით არაფერს გეგმავენ, საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა უკვე იცის. ახალი სქემები გაზაფხულზე ან თებერვალში ამოქმედდება. სანამ ახალი რუსული სცენარი არ ამუშავდება, პოლიტიკოსები მეორე და მესამეხარისხოვან საკითხებზე იხმაურებენ.

რიგგარეშე არჩევნებისათვის დროის ლიმიტი აღარ არსებობს. ბიძინა ივანიშვილსაც და რუსული პოლიტიკური თეატრის სხვა მოთამაშეებსაც უჭირთ შეგუება რეალობასთან. მათ ვადამდელი არჩევნებისთვის თითქმის ყველაფერი გააკეთეს – ქუჩის აქციებითა და კონტრაქციებით დაწყებული, ბოქლომების დადებითა და საპარლამენტო უმრავლესობის დაშლით დამთავრებული. უმრავლესობიდან დეპუტატების გამოსვლა მართული პროცესი იყო.

***– შესაძლებელია, რომ რუსეთის პოლიტტექნოლოგებმა თავიანთი გეგმებისთვის „ქართული ოცნებიდან“ გამოსული ხალხიც გამოიყენონ?***

– გეგმები მუშავდება. გამორიცხული არაფერია. აქამდე რაც იგეგმებოდა, ის დადგმა შეიცავდა დრამატულ სიუჟეტებს. მაგალითად, 1990-იანი წლების ანალოგიით, ჩაფიქრებული იყო უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნაც კი. ალბათ, რაც ჩაიშალა, იმას არ გაიმეორებენ.

მთლიანობაში, რუსული პოლიტტექნოლოგიური მეთოდიკა უცვლელია – რიგგარეშე არჩევნებისათვის გათამაშდა 7 ეპიზოდი 2018 წლის მაისიდან. რუსულმა პოლიტტექნოლოგიამ გამოიყენა საპატრიარქოზე თავდასხმის, ჰომოსექსუალური თემები, არაპოლიტიკოსების ტრაგედიები. „შვილმკვდარი მამების“ აქციაზეც გაახმიანეს ვადამდელი არჩევნების საკითხი. რუსეთი შვიდივე ეპიზოდში ჩაფლავდა და რიგგარეშე არჩევნებს ვერ მიაღწია.

***– ქართველი პოლიტიკოსები ამას აცნობიერებენ?***

– რასაკვირველია. ისინი ამაზე თათბირობენ. ივანიშვილი და „ევროპული საქართველო“ რამდენიმე პერსონასთან ერთად აწყობენ კონსულტაციებს. ისინი უკმაყოფილო არიან სცენარებით. მათი აზრით, თვითონ როლები შესანიშნავად შეასრულეს, გეგმების ჩავარდნის მიზეზი უხეირო რუსი სცენარისტები არიან.

დასავლელი ანალიტიკოსები ამ სიმპტომს ყურადღებას აქცევენ. მათი შეფასებით, ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც ადრე რუსეთის დავალებების უსიტყვო შემსრულებლები იყვნენ, უკმაყოფილების გამოთქმას ბედავენ, რაც, მათი აზრით, რუსეთის დასუსტების კიდევ ერთი ილუსტრაციაა.

***– ამ პოლიტელიტას აშშ-სთან გაუფუჭდა ურთიერთობა?***

– ეს ცხადზე ცხადია. მოხდა საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ლუსტრაცია. ვაშინგტონში ისედაც ჰქონდათ ამომწურავი ინფორმაცია, მათ შორის, ცრუ მედასავლეთე პარტიებზე, რომლებიც მოსკოვიდან იმართებიან.

მალე საქართველოში ჩამოვა აშშ-ის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. რუსი პოლიტტექნოლოგები და მათი ქართველი ქვეშევრდომები მას მოერიდებიან. ისინი ეცდებიან, არ დაახვედრონ ახალ ელჩს ცხელი ფაზა. მათ არ იციან, რა რეაქცია ექნება დიპლომატს მიმდინარე მოვლენებზე.

აშშ და მისი საელჩო საქართველოში ძალიან გააქტიურდნენ და სწრაფად რეაგირებენ პროცესებზე. ამიტომ არის, რომ რუსეთს არ გამოუვიდა ფსევდოდასავლური ოპოზიციისთვის ხელისუფლების გადაბარება.

დარწმუნებული ვარ, რუსეთს მომავალ სცენარებშიც სრული კრახი ექნება.

# თაკო ჩარკვიანი: „ნინო ბურჯანაძესთან სიაში არ ვიქნები“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

საერთოდ, პესიმისტურად განწყობილი არ ვარ და არ ვთვლი, რომ ეს ასე დასრულდება, იმიტომ, რომ ასეთი მოვლენები პესიმისტურად არ მთავრდება ხოლმე. ეს არ დამთავრდება კარგად ამ ხელისუფლებისთვის და მგონია, რომ ოპტიმიზმის საფუძველი მაქვს.

***– რა გაძლევთ ამ ოპტიმიზმის საფუძველს?***

– სხვადასხვა ფაქტორი. უპრეცედენტო მხარდაჭერა იყო ამერიკის მხრიდან იმ წერილით, რომელიც კონგრესმენებმა გამოაქვეყნეს და მახარებს ეს მხარდაჭერა.

***– თუმცა იმავე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოდნავ შეარბილა ტონი ბოლო განცხადებაში.***

– არა უშავს. რაც მთავარია, არის ეს განცხადება და უკვე კარგია. ეს განცხადება ნიშნავს, რომ სამომავლოდ გარკვეულ სანქციებს მიიღებს ეს ხელისუფლება, თუ ასე გააგრძელა ყველაფერი.

***– რა სანქციები შეიძლება იყოს?***

– შეიძლება გადახედონ მაღალჩინოსნებისა და კერძოდ ივანიშვილის ფინანსურ მდგომარეობას.

***– ანუ შეიძლება, რომ ივანიშვილის ანგარიშები დააყადაღონ?***

– თავისუფლად შესაძლებელია ეს. ასეთი პრეცედენტი ბევრი ვიცით. არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. უმთავრესი პარტნიორია აშშ და მას ჩვენთვის კარგის მეტი არაფერი აქვს გაკეთებული, თანხები აქვს ჩადებული საქართველოს განვითარებაში.

***– მუშაობთ ამ მიმართულებით ოპოზიცია ამერიკასთან, რომ ივანიშვილის ანგარიშები დააყადაღონ?***

– ჩვენ ვმუშაობთ ობიექტური მოვლენების მიწოდებით, დანარჩენს ამერიკა თავად გადაწყვეტს. დანარჩენზე ჩვენ ვერც ვიმუშავებთ. ზედმეტს არ გვთხოვენ. ფაქტებს აწვდის ოპოზიცია პარტნიორებს და ეს არის ჩვენი ვალდებულება.

ჩვენ ხომ დავინახეთ, რომ ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლების გამო ორი ქალი ერთმანეთს ამუნათებდა, არა, კოსაჩოვს უნდა გადავუხადოთ მადლობა და არა კალაშნიკოვსო – ინაშვილი და ბურჯანაძე. ოკუპაციის კანონის პირობებში რუსეთზე მომუშავე ორი ქალი ამას აკეთებს. სირცხვილია, როდესაც 21-ე საუკუნეში ორი ქალი ერთმანეთს ამუნათებს ამაში. ინაშვილმა მერე ჩანაწერი მოგვასმენინა, ჩემი ხელი ურევია ამაშიო.

როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ისრაელის რომელიმე ოპოზიციური პარტია ხალხის ლეგიტიმაციის გარეშე გაუმჭვირვალობითა და საერთაშორისო არბიტრების გარეშე წავიდეს იქ, ვისთანაც ბრძოლა აქვს და ესაუბროს. სულ ცოტა, სამხედრო ტრიბუნალი არ ასცდება. ავიღოთ თუნდაც აზერბაიჯანი და სომხეთი, როგორ წარმოგიდგენიათ, ამ ფორმატში დაიწყოს საუბარი სომხეთმა აზერბაიჯანთან ან, პირიქით, აზერბაიჯანმა – სომხეთთან.

***– ამ ფონზე გიგი უგულავა ამბობს, რომ საერთო სია უნდა შედგეს ყველა ოპოზიციური ლიდერის მონაწილეობით.***

– ვნახე ეს განცხადება, საინტერესო დეტალებია, მაგრამ ეს ჯერ არ მიგვიღია და ეს არის განხილვის რეჟიმში. ვნახოთ, ჯერჯერობით ამაზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის და ნედლი ვერსიაა. ეს შეიძლება ხელისუფლებამ სათავისოდ გამოიყენოს და ამიტომ ძალიან დასაფიქრებელია.

***– როგორ შეიძლება გამოიყენოს ხელისუფლებამ სათავისოდ?***

– თავისუფლად, იმიტომ, რომ ასეთი გაყალბების პირობებში, კაცმა არ იცის, რას გამოაგდებს, თორემ ჩემთვის პრობლემა არ არის.

***– პრობლემა არ არის ის, რომ თქვენ და ბურჯანაძე ერთ სიაში იყოთ?***

– მე ვთქვი, რომ მაჟორიტარული სისტემა არ არის პრობლემა, თორემ ბურჯანაძესთან ერთად სიაში ყოფნას არ ვაპირებ. იცით ჩემი დამოკიდებულება. ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ღირებულებებს და ბრძოლა ღირებულებების გარეშე არაფრად მიმაჩნია. დამისახელეთ მოგებული ბრძოლა პრინციპებისა და ღირებულებების გარეშე. ეს ქულები და კვოტები და რაღაცები, ზუსტად ეგაა, რაც გვღუპავს.

## „რუსულ ვექტორს არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ახალი კოალიციური მმართველობა ააყირავოს“

როგორც კი გადავა ახალი წლის დღეები, დავაყენებთ ჩვენს იდეას. ჩვენ გვაქვს ჩვენი ურთიერთობა გაერთიანებულ ოპოზიციასთან „ძალა ერთობაშია“. პროპორციულის მოთხოვნის გარდა, არ მესმის, რაზე უნდა ველაპარაკო პოლიტიკოსს, რომელიც ცოტა ხნის წინ შვილს ეუბნებოდა, 500 კაცი რომ დაიღუპოს, არაფერი არ არის ასეთი ვითარების დროს და მერე „გრუ“-ს ჯარებს ელაპარაკონო.

8 წელი გავიდა და გაიტანოს ის ჩანაწერი ექსპერტიზაზე. თუ ფული არ აქვს, მე მივცემ, ოღონდ გაიტანოს. ვინმემ ასეთი ჩანაწერი რომ დამიდოს, თავს მოვიკლავდი და დავამტკიცებდი, თუ ეს სიმართლე არ არის. ქალს გაცხადებული აქვს თავისი პოლიტიკა.

ჩემთვის ბურჯანაძე არ არსებობს. ჩემთვის არსებობს რუსული რადიკალური ვექტორი. ესენი არიან რუსული რადიკალური ვექტორის მომხრეები, თორემ, როდესაც მოვა კოალიციური ხელისუფლება, ის დაელაპარაკება ოკუპანტს, ოღონდ ეს მოხდება გამჭვირვალედ, ხალხის ლეგიტიმაციითა და საერთაშორისო აქტორების ჩართულობით.

თუ წყალგამყოფი არ გავაკეთეთ რუსულ ვექტორთან, პუტინი ყოველთვის შეძლებს სიტუაციის არევას, როგორი კარგი, პროდასავლური და ძლიერი ხელისუფლებაც არ უნდა გვყავდეს სამომავლოდ. ღმერთმა არ ქნას, რაღაც დანაშაული თუ მოხდება, იმას გაახუთმაგებს. მოხდა დანაშაული სააკაშვილის დროს ციხის ამბების გამო? მერე დადგეს რაღაც კადრები ბედუკაძის მეშვეობით. მე კი არ უარვყოფ, რომ რაღაც დანაშაულები იყო, მაგრამ ბედუკაძესაც ხომ ვერ უარყოფს ვინმე?! ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელსაც დაადგა ბალტიისპირეთი.

ვნახოთ, არჩევნებისთვის როგორ გადავლაგდებით. ახლა ამაზე ვერ ვილაპარაკებ. „ძალა ერთობაშიას“ ფორმატში უნდა დავსხდეთ, იქ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება და მერე გავახმოვანებთ. გიგი უგულავამ დააყენა თავისი იდეა, ჩვენ ჩვენსას დავაყენებთ და შეჯერდება კომპრომისული გადაწყვეტილება.

***– 2019 წელს „ქართული ოცნება“ 22-მა დეპუტატმა დატოვა. ეს ნიშნავს, რომ „ოცნების“ ჩამოშლა დაიწყო?***

– რა თქმა უნდა. მე ერთხელ ვთქვი, რამდენიმე ოჯახში არ სიამოვნებდათ, რომ მათი ოჯახის წევრი იყო „ოცნებასთან“ დაკავშირებული და წამოვიდნენ. უკვე შეუძლებელი იყო იქ ყოფნა. ჩამოშლის პირას არის „ოცნება“.

მაგრამ პეტრე არ იქნება? იქნება ივანე. სულ იპოვის პუტინი მომხრეს, თუ წყალგამყოფი არ გავაკეთეთ. კარგი ფორმატია ყველა მინუს ერთი, მაგრამ ეს მინუს ერთი უნდა იყოს პუტინი, თორემ ის ყოველთვის იპოვის აქ ვინმეს – არა აქვს მნიშვნელობა, ბიძინა ერქმევა, ნინო, გახარია თუ ლამარა. მთავარია წყალგამყოფი.

სხვაგვარად აზროვნება მუდმივად გამოიწვევს საქართველოს ყირაობას. ეს იქნება ამათი ხელით, პრიმაკოვის ხელით, ვითომ რუსული კულტურის ხელით. დიმიტრი ლორთქიფანიძე ვისი პარტიის წევრი იყო? ბურჯანაძესთან ხომ იყო?! ახლა კი ის არის პრიმაკოვის ფონდის ხელმძღვანელი. პიროვნულად არაფერს ვერჩი ბატონ დიმიტრის, ის რომ არ იყოს და სხვა იყოს, იმ სხვაზე ვიტყოდი.

მე რუსულ ლიტერატურაზე საერთოდ არ ვსაუბრობ. საქართველოში სულ რამდენიმე მეგულება ისეთი, როგორც ეს იცის დედაჩემმა. დაინგრა საბჭოთა კავშირი, მაგრამ არ დაინგრა სისტემა და სამართლებრივი სისტემა იგივე დარჩა, ჩვენ ვიბრძვით, რომ დავანგრიოთ ეს გადმონაშთი და დავნერგოთ დასავლური სისტემა. მითხარით, რა მესაქმება ისეთი პარტი(ებ)ის ლიდერ(ებ)თან, რომლებიც მთავაზობენ რუსულ სამართლებრივ სისტემას?! მე მინდა დასავლური სამართლებრივი სისტემა და ქუჩაში ამიტომ ვდგავარ, გარდა პროპორციულის მოთხოვნისა.

შენ ჩემს ქვეყანას სთავაზობ რუსულ სივრცეს და ეს ჩემთვის მიუღებელია! 2020 წელს ვუსურვებ, რომ ჩხუბისა და დავიდარაბის გარეშე მოვახერხოთ იმ ლიანდაგზე გამოკვეთილად დგომა, რასაც ჰქვია დასავლური სისტემის მოპოვება და, შესაბამისად, ძველი საბჭოური და რუსული სისტემის ნგრევა. ამისთვის საჭიროა, საქართველოში შევასუსტოთ რბილი ძალა, რომელიც რუსული ძალის უკან დგას. რუსული ვექტორი არ უნდა მოვამაგროთ და სამომავლოდ კოალიცია რომ მოვა ხელისუფლებაში, მას არ უნდა მივცეთ ამ კოალიციის აყირავების შესაძლებლობა.

რუსულმა ვექტორმა მოაქცია იზოლაციაში პირველი პრეზიდენტი გამსახურდია, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ოპოზიციას ჯერ არ ედგა რუსთაველზე კარვები. პირდაპირ იყო დასახელებული ფოფხაძე და იქნებ მიმართოთ ვინმემ, შევარდნაძეს თუ იცნობთო, ეს ვიდეო დევს „იუთუბიზე“. შემდეგი პრეზიდენტი მოვიდა და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შევარდნაძის დროსაც იყო ასეთი რამე, რომელიც კომუნისტური პარტიის გზაგამოვლილი იყო, მაინც მოახერხეს მისი აფეთქება. სააკაშვილი იყო, რომელმაც დაიწყო ბრწყინვალედ, მიდიოდა ინსტიტუციების განვითარება, როგორც კი შეცდომა მოუვიდა ძალოვან სისტემებში, მაშინვე გამოიყენეს ესეც, ეს შეცდომა გაუათმაგეს და ამის გაკეთების შესაძლებლობა აღარ უნდა მივცეთ.

ამიტომ გვინდა დასავლური სისტემა, კოალიციური მთავრობა და უნდა იყოს დამოუკიდებელი პროკურატურა, სასამართლო და ყველა ინსტიტუცია.

ასეთ პირობებში არ იქნება ერთპიროვნული მართვის სისტემა და შეცდომის ალბათობაც ნაკლებია. არ უნდა მიეცეს რუსულ ვექტორს შესაძლებლობა, ააყირავოს ახალი კოალიციური მმართველობა. ამიტომ დავდივართ წრეზე 27 წელია, რომ ამას არ ვაკეთებთ და უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც მოიქცა ბალტიისპირეთი.

# გიორგი რურუა პატიმრობაში დატოვეს

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილე, გიორგი რურუა, კვლავ პატიმრობაში რჩება.

მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის გადაწყვეტილებით, რურუას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ძალაში დარჩა.

31 დეკემბრის სასამართლო სხდომას ესწრებოდა თავად ბრალდებულიც. პროცესზე ბრალდების მხარე გიორგი რურუას მიმართ გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვებას ითხოვდა. პროკურორ დავით კიკაჩეიშვილის განმარტებით, გიორგი რურუას მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არსებობს და რეალურია. ამასთან, რისკი იმისა, რომ მან გავლენა მოახდინოს მოწმეებზე ან გამოძიებას ხელი შეუშალოს, არსებობს.

ბრალდების მხარის შუამდგომლობას არ დაეთანხმნენ ადვოკატები. როგორც დაცვის მხარე აცხადებდა, გიორგი რურუას დაკავებისას მიმალვა არ უცდია, არც მოწმეებზე ზემოქმედება მოუხდენია, შესაბამისად, მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არ არსებობს. უფლებადამცველების შუამდგომლობის მიხედვით, გიორგი რურუა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გარეშე უნდა დაეტოვებინა.

რურუა სამართალდამცავებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

პროკურატურის ინფორმაციით, გიორგი რურუას ბრალდებას დაემატა ახალი მუხლი, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობასა და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას გულისხმობს.

გიორგი რურუა სამართალდამცავებმა 18 ნოემბერს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს. მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.



## ლაშა გოგია შაბათ-კვირას ციხეს ველარ დატოვებს



ზუგდიდის ყოფილი მერი ლაშა გოგია შაბათ-კვირას ციხეს ველარ დატოვებს. გადაწყვეტილება პენიტენციარულმა დაწესებულებამ მას შემდეგ მიიღო, რაც სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია, რომ ლაშა გოგია რესტორანშია.

– ამ ადამიანმა ვერ გამოავლინა ის ქცევა, რაც გულისხმობს დანაშაულის გაცნობიერებას და შესაბამისად, გარეთ გასვლის შეღავათი აქვს გაუქმებული, – განმარტავენ უწყებაში.

ლაშა გოგია ყოფილი ვიცემერთან ერთად 2018 წელს დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს.

ორივე მათგანი რამდენიმე კვირაა, ციხეს უქმეებზე სპეციალური პროგრამის ფარგლებში ტოვებდა.

## ბექა კოკაია, ზუკა ბერძენიშვილი, ლაშა ბურდული, ზურაბ მჟავანაძე და გიორგი მუმლაძე გამოუშვეს

30 დეკემბერს, ღამით, ადმინისტრაციული წესით დაკავებული 5 პირის სასამართლო პროცესი გადაიდო. ბექა კოკაია, ზუკა ბერძენიშვილი, ლაშა ბურდული, ზურაბ მჟავანაძე და გიორგი მუმლაძე სასამართლოს დარბაზიდან გათავისუფლდნენ.



მათი პროცესი 6 იანვარს, 15:00 საათზე გაიმართება.

როგორც ადვოკატმა გიორგი მშვენიერაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფების წინააღმდეგ მტკიცებულებად წარმოდგენილია ერთნაირი ტექსტით შედგენილი სამართალდარღვევის ოქმები, რაც ეჭვს აჩენს, რომ ყველა შემთხვევაში ერთი ტექსტის გადაწერა მოხდა.

– სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები არის დაკავების ოქმები და სამართალდარღვევის ოქმები. მე ოთხ პირს ვიცავ და ოთხივეს ოქმში ტექსტები იდენტურია, რომ ეს პირები იგინებოდნენ უმისამართოდ და პოლიციელების მოთხოვნას, შეეწყვიტათ გინება, არ დაემორჩილნენ და, გარდა ამისა, დაკავების დროს გაუწიეს წინააღმდეგობა.

ტექსტების ასეთი მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ სინამდვილეში არსებობს ერთი ტექსტი, რომლიდანაც შემდგომ მოხდა გადაწერა და ამიტომაც აქვთ იდენტური ბრალდებები.

სამწუხაროა, რომ პოლიციამ და შსს-მ აქამდე ვერ გააცნობიერეს, რომ როდესაც საჯარო ადგილებში იმართება შეკრება-მანიფესტაცია, პროტესტის გამოხატვა მათ შორის, შესაძლებელია უხამსი სიტყვებით. ეს არ არის ხულიგნობა, – განაცხადა მშვენიერაძემ.

30 დეკემბერს ღამით, „თბილსერვისის“ თანამშრომლებმა პარლამენტის წინ გაშლილი კარვები აიღეს და მათ ნაცვლად საბავშვო ატრაქციონები დადგეს, სამოქალაქო აქტივისტებმა და ოპოზიციის ნაწილმა კი კარვების აღება გააპროტესტეს. ადგილი ჰქონდა დაპირისპირებასაც.

შედეგად, პოლიციამ ადმინისტრაციული წესით 10 პირი დააკავა. მათ შორის არიან ბექა ბასილაია, ზურაბ ნადირაძე, ზურაბ მჟავანაძე, ლაშა ბურდული, ზურაბ ბერძენიშვილი, ბექა კოკაია, გიორგი შოთაძე, რომეო ფარულავა, ნოდარ რუხაძე, გიორგი მუმლაძე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 31 დეკემბერს ათივე პირის პროცესი გადადო.

## ნატრული აკობიამ ბაკურ სორდიას პატიმრობა შეუფარდა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მეუღლის თვითმკვლელობამდე მიყვანისა და ძალადობის ბრალდებით დაკავებულ ბაკურ სორდიას აღკვეთის ღონისძიებაზე იმსჯელა და მას პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსამართლე ნატრული აკობიამ პროკურატურის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

პროკურორ ანა არონიას თქმით, პროცესზე არსებობს მოწმეების ჩვენება, რომ ბრალდებული ცოლზე და ოჯახის სხვა წევრებზე ძალადობდა. პროკურორი დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა და აცხადებდა, რომ არსებობს მიმალვისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე.

თავად ბრალდებულმა პროცესზე აღნიშნა, რომ მის მიერ მეუღლეზე სისტემური ძალადობა აბსურდია. სორდია ამბობს, რომ გარდაცვლილის ძმის ჩვენება სიმართლეს არ შეესაბამება.

– პროკურორმა აღნიშნა, რომ მე მიმალვას ვაპირებდი, რაც არ არის სწორი. მე დამალვას არ ვაპირებდი, ეს იყო შოკური მდგომარეობა, რომელმაც სუიციდის მცდელობამდეც მიიყვანა. ბავშვებმა დედა დაკარგეს, მეც რომ ჩავჯდე, ეს იქნება სტრესული მდგომარეობა. მე მინდა, ექსპერტიზის დასკვნამდე ვიყო ბავშვებთან. მე ვთხოვ სასამართლოს, ვიდრე დასკვნები დაიდება, ბავშვებთან დავრჩე, – აღნიშნა სორდიამ პროცესზე.



დეკემბრის ბოლოს სოფელ შამგონაში 35 წლის ქალი ჩამომხრჩვალი იპოვეს. გარდაცვლილის ოჯახს თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა. გარდაცვლილის ახლობლები ამბობენ, რომ ახალგაზრდა ქალს სხეულზე დაზიანებები აღენიშნება და მას ქმართან კონფლიქტი ჰქონდა.

მომხდართან დაკავშირებით შს სამინისტრომ გამოძიება სსკ-ის 115-ე – თვითმკვლელობამდე მიყვანისა და 126-ე – ძალადობის მუხლებით დაიწყო.

## გურიაში 80 წლის ქალი დისშვილმა გაგუდული იპოვა

### სახლიდან მერსედესის ჯიპია დაკარგული



გურიაში 80 წლამდე ქალი გარდაცვლილი იპოვეს. დანაშაული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურში მოხდა.

ი.ხ. მისმა დისშვილმა სახლში გაგუდული იპოვა.

– მარტო ცხოვრობდა. როგორც მეზობლებმა ვიცით, დისშვილები პატრონობდნენ. ახლაც, ახალი წლის ღამეს ესტუმრა დისშვილი და ასეთი საშინელება დატრიალდა.

თავად დისშვილი ყაჩაღობის დროს სახლში არ იმყოფებოდა, მანქანა კი დატოვებული ჰყავდა. უკან რომ დაბრუნდა, საზარელი ამბავი დახვდა.

კეთილშობილი და სათნო ადამიანი იყო. რა უნდოდათ ან ვინ გაიმეტა ასე სასიკვდილოდ, არავინ ვიცით, – უთხრეს „გურიანიუსს“ გარდაცვლილის მეზობლებმა.

„კურიერის“ ინფორმაციით, სახლიდან დაკარგულია მერსედესის მარკის ჯიპი.

## ქედაში 10 წლის ბავშვი მანქანამ გაიტანა

აჭარაში, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემნაში, ავტოსაგზაო შემთხვევას 10 წლის ბავშვი ემსხვერპლა. არასრულწლოვანი ცენტრალურ გზაზე გადაადგილდებოდა, როდესაც მანქანა დაეჯახა.

საქმეზე გამოძიება 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, რაც თავისუფლების 7 წლამდე აღკვეთით ისჯება.



## თბილისში ავტობუსი ხეს შეეჯახა

### დაიღუპა შუახნის ქალი

გუშინ, 2 იანვარს, ავლაბარში ავტოსაგზაო შემთხვევას 1 ადამიანი ემსხვერპლა.

ყვითელი ავტობუსი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს დაეჯახა, რის შედეგადაც დაიღუპა 1 მგზავრი, შუახნის ქალი, მძღოლი კი მსუბუქად დაშავდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესების დარღვევას ითვალისწინებს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

## რუსთავში 5 ადამიანს თითები მოაჭრეს

რუსთავში საახალწლოდ პიროტექნიკის გამოყენებისას 8 ადამიანი დაშავდა.

დაშავებულებიდან 6 მოზარდია, მათ შორის ყველაზე მცირეწლოვანი 10 წლისაა.

ინფო რუსთავის ინფორმაციით, დაშავებული 8 ადამიანიდან 5-ს თითების ამპუტაცია დასჭირდა.

პაციენტები მკურნალობას რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოსა და კლინიკა რუსთავში გადიან, ნაწილი კი თბილისში, სპეციალიზებულ კლინიკებში გადაიყვანეს.

დაშავებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.







## იტალიაში ქურდობისთვის საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს

იტალიაში, ქალაქ ფაზანოში, სამართალდამცველებმა ქურდობის ფაქტზე საქართველოს 4 მოქალაქე დააკავეს.

ოთხივე დაკავებული იტალიაში არალეგალურად იმყოფებოდა.

პოლიციის თანამშრომლებმა ისინი ერთ-ერთი სუპერმარკეტის ავტოსადგომზე შენიშნეს და პირების იდენტიფიკაციისთვის ავტომობილის ჩხრეკა განახორციელეს.

ჩხრეკის შედეგად პოლიციამ 2 სხვადასხვა სუპერმარკეტიდან მოპარული 450 ევროს ღირებულების პროდუქცია ამოიღო.

იტალიური მედიის ინფორმაციით, წვრილმან ხულიგნობაში ბრალდებული ოთხივე ქართველი ამ დროისთვის გათავისუფლებულია.

მათ ქვეყნის დასატოვებლად 7 დღე მისცეს.

## დედოფლისწყაროში ავარიას 2 ახალგაზრდა ემსხვერპლა

დედოფლისწყაროში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 პირი გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გარდაცვლილები 30 წლამდე ასაკის კაცები არიან.

უწყებამ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.



# საფრანგეთში საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ



საფრანგეთში ბოლო 51 წლის განმავლობაში ყველაზე ხანგრძლივი გაფიცვა გრძელდება. საფრანგეთში სატრანსპორტო სექტორის გაფიცვა უკვე 29-ე დღეა იმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ 1968 წლის შემდეგ ეს ყველაზე ხანგრძლივი გაფიცვაა საფრანგეთში.

ქვეყანაში საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ.

როგორც მთავრობაში აცხადებენ, რეფორმა აუცილებელია, რათა საპენსიო სისტემა უფრო მდგრადი და სამართლიანი გახდეს, რასაც არ ეთანხმებიან პროფკავშირები.

რეფორმის ფარგლებში იგეგმება საპენსიო ასაკის გაზრდა. საკითხზე მოლაპარაკებები მთავრობასა და პროფკავშირებს შორის 7 იანვარს არის დაგეგმილი.

ამასთან, გაფიცულები აცხადებენ, რომ 9 იანვარს მასშტაბურ დემონსტრაციას გამართავენ და ისეთი ობიექტების ბლოკირებას მოახდენენ, როგორებიცაა ბენზინგასამართი სადგურები, ნავთობტერმინალები და დეპოები.

ბოლო ერთი თვეა, საფრანგეთში გაფიცვისა და საპროტესტო აქციების გამო შეფერხებულია სატრანსპორტო მოძრაობა, გაუქმდა სარკინიგზო და ავიარეისები.

# ტრამპმა უკრაინას მხარი დაუჭირა



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ უკრაინა ევროპის უსაფრთხოებაში ფასდაუდებელ როლს ასრულებს. აშშ-ის პრეზიდენტმა ევროპის ლიდერებს უკრაინისადმი მხარდაჭერის გაზრდისკენ მოუწოდა.

– მივმართავ გერმანიის კანცლერ მერკელს, საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონს, მხარი დაუჭირეთ უკრაინას! – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის ლიდერმა გერმანიასა და საფრანგეთს მოუწოდა, რომ უკრაინისადმი ფინანსური დახმარება გაზარდონ, ყველაფერი გააკეთონ საიმისოდ, რათა ეს ქვეყანა რუსეთის ზეწოლას მომზადებული შეხვდეს.

# ბაღდადში აშშ-ის საელჩოში შეჭრა ცადეს



31 დეკემბერს ბაღდადში ასობით დემონსტრანტი შეეცადა, ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე შეჭრილიყო.

„ძირს აშშ!" – ამ შეძახილებით მომიტინგეებმა შენობას წყლის ბოთლები დაუშინეს და უსაფრთხოების კამერები დააზიანეს.

ინციდენტი აშშ-ის მიერ „ქათაებ ჰესბოლას" ბაზაზე განხორციელებული დარტყმის საპასუხოდ მოხდა, რომლის შედეგადაც პროირანულ პოზიციებზე 25 მებრძოლი დაიღუპა.

მომიტინგეები შემდეგ სიტყვებს სკანდირებდნენ: „სიკვდილი ამერიკას!", „სიკვდილი ისრაელს!". მათ შენობის კედლებზე „ქათაებ ჰესბოლას" დროშები გამოფინეს.

30 დეკემბერს აშშ-მ ერაყსა და სირიაში პროირანულ პოზიციებზე საჰაერო დარტყმები განახორციელა. იქამდე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ თუ ამერიკელებსა და მის მოკავშირეებს კიდევ მიადგებოდათ ზიანი, „აშშ გადამწყვეტ საპასუხო ზომებს მიიღებდა".

# ინგუშმა პარტიზანებმა რუსებს ახალი წელი „მიულოცეს"

ინგუშეთის დედაქალაქ მანასთან სისხლიანი ექსცესი მოხდა. უცნობი პირები თავს დაესხნენ პოლიციის საკონტროლო პუნქტს. შედეგად ორი პოლიციელი დაიღუპა, ერთ დაიჭრა. საპასუხო ცეცხლით ერთ-ერთი თავდამსხმელი მოკლეს, სხვებმა გაქცევა მოახერხეს.

იმავე დღეს ინგუშეთის დედაქალაქში პროკლამაციები გაჩნდა. მათში ნათქვამია, რომ ინგუში პარტიზანები რუსებს ახალ წელს „ულოცავენ."



# ეუთოს თავმჯდომარეობა ალბანეთმა გადაიბარა



ეუთოს თავმჯდომარეობა 2020 წლიდან ალბანეთმა გადაიბარა.

ალბანელთა საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი დონბასის კონფლიქტის მოგვარება იქნება.

თავმჯდომარის როტაცია ევროსაბჭოშიც მოხდა. ახლა თავმჯდომარის მოვალეობას ხორვატიის წარმომადგენელი შეასრულებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# „დიდი სცენის" ჟიურიმ ათეული დაასახელა

„რუსთავი 2"-ის მუსიკალურმა გადაცემამ „დიდი სცენა" ის 10 მომღერალი დაასახელა, რომლებიც 5 იანვრიდან პირდაპირ ეთერში ათასობით მაყურებლის წინაშე წარდგებიან.

ნატო მეტონიძის, გიორგი ცაგარელისა და სალომე კორკოტაშვილის გადაწყვეტილებით, „დიდი სცენის" ათეულის წევრები არიან: ზურა მარგიშვილი, ირაკლი კაპანაძე, ლაშა გუჯაბიძე, ლუკა ჩაკვეტაძე, მარიამ ქაჯაია, ცოტნე გელოვანი, ქეთა ჭიჭინაძე, თიკო ლაჭავა, ომა ფავორი და ანანო ჩიტაიშვილი.

მათ საკონკურსო გამოსვლებს მაყურებელი ყოველ კვირას პირდაპირ ეთერში იხილავს.

# „მხოლოდ ქართული" ლიკა ლოლომაძემ დატოვა

მუსიკალური შოუ „მხოლოდ ქართული" ლიკა ლოლომაძემ დატოვა. ქალაქური სიმღერების ტურში ლიკას ყველაზე მეტად არ გაუმართლა და 9 კონკურსანტს შორის ყველაზე ცოტა ქულები დააგროვა.

90.000 ზარიდან ყველაზე მეტი ხმა თამთა ხუხუნაიშვილმა დააგროვა, რომელიც შოუს ლიდერი გახდა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. მან სიმღერა „აჩრდილივით სულ თან დაგდევ" და მუსიკალური ნომრის დასრულების შემდეგ იტირა. ატირებული მომღერალი სცენაზე ასულმა „მთავარი არხის" ხელმძღვანელმა ნიკა გვარამიამ დაამშვიდა.

მომდევნო ტურში კონკურსანტები ნინო ქათამაძის სიმღერებს შეასრულებენ.

# „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან" არავინ გააგდეს

„ცეკვავენ ვარსკვლავებიდან", პროექტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, არავინ გააგდეს. ამის მიზეზი საახალწლო დღეები გახდა.

შოუს ფინალამდე სულ ცოტა ტური რჩება და მასში მოსახვედრად 4 წყვილი იბრძვის: ანკა ვასაძე და ოთო ფოლადაშვილი, ნოდარ სიმსივე და მზია ორველაშვილი, დავით თარგამაძე და ჯულიანა ბარგნარი და გია ფერაძე და ვერკა ჯაჯანიძე.

პროექტის მეცხრე სეზონის ფინალი 13 იანვარს გაიმართება.

# ქართველი მწერლები დავით წერედიანის მთაწმინდის ან დიდუბის პანთეონში დაკრძალვას ითხოვენ



ქართველი მწერლები პოეტის, მთარგმნელისა და ლიტერატორის დავით წერედიანის მთაწმინდის ან დიდუბის პანთეონში დაკრძალვას ითხოვენ.

გიორგი ლობჟანიძე, ლია სტურუა, კოტე ჯანდიერი, მანანა მენაბდე, შოთა იათაშვილი, ნესტან კვინიკაძე, ლელა ცუცქირიძე, კატო ჯავახიშვილი – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ქართველი შემოქმედებისა, რომლებიც საქართველოს მთავრობას თხოვნით მიმართავენ:

– 2019 წელი უმძიმესი გამოდგა თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის. სწორედ წლის მიწურულს დავით წერედიანის გარდაცვალებით დამთავრდა დიდი ლიტერატურული ეპოქა, რომლის შუაგულშიც უთუოდ იგულისხმებოდა ეს უაღრესად თავისებური პოეტი და უდიდესი მთარგმნელი, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით მუდმივად ამდიდრებდა მშობლიურ ქართულ ენას და მის ახალ-ახალ შესაძლებლობებს ხსნიდა გასაოცარი სიზუსტითა და ოსტატობით.

დავით წერედიანის მიერ ქართულად ამეტყველებული მსოფლიო ლიტერატურის შედევრები ორიგინალური მწერლობის განუყოფელ და ორგანულ ნაწილად იქცა, ურომლისოდაც დღევანდელი ქართული მწერლობა ისეთი ღრმა და მრავლისმომცველი ნამდვილად არ იქნებოდა, როგორიც დღეს არის.

აქ უსათუოდ ცალკე გამოსაკვეთია დავით წერედიანის მიერ ფრანგულიდან ვირტუოზულად თარგმნილი ფრანსუა ვიიონის დიდი და მცირე ანდერძი; გერმანულიდან თარგმნილი იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ფაუსტი", ბოდლერის, ვერლენის, რემბოს არაერთი ლექსის კონგენიალური თარგმანი, ძმები გრიმების ზღაპრების უბრწყინვალესი სამტომეული თუ სულ ახლახან ესპანურიდან ბრწყინვალედ გადმოქართულებული ფედერიკო გარსია ლორკას „ბოშური რომანსერო".

ეს ძირითად ნაშრომებს თუ ჩამოვთვლით, თორემ არ არსებობდა ტექსტი, რომელსაც დავით წერედიანის ხელის შეხება ქართული ლიტერატურის უშინაგანეს და უბრწყინვალეს ფაქტად არ აქცევდა. მაგალითისათვის შეგვიძლია მისი თარგმნილი თანამედროვე ფრანგი ავტორის პასკალ კინიარის „ყოველი დილა ქვეყანაზე" გავიხსენოთ, სადაც წერედიანის ნიჭმა სრულიად სხვა, არაამქვეყნიური დიდებულებით გაიბრწყინა.

აღსანიშნავია, რომ დავით წერედიანმა სვანურიდან ქართულად თარგმნა სვანური ხალხური პოეზიის ნიმუშებიც. ცალკე უნდა ითქვას მასზე, როგორც დიდებულ პოეტზე, რომლის დანატოვარი მცირეა, მაგრამ, რაც არის, ყოველგვარი მინარევების გარეშე და შეიძლება გადაუჭარბებლად შეფასდეს, როგორც უმაღლესი სინჯის პოეზია.

ამ წერილის ხელისმომწერნი, ქართველი მწერლებისა და ხელოვანების ერთი ნაწილი, ვფიქრობთ, გამოვხატავთ ჩვენი საზოგადოების ერთსულოვან აზრს და ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, შესაძლებლობის ფარგლებში ერთად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ღირსეული პატივი მივაგოთ ამ მართლაც დიდ პოეტსა და ლიტერატორს.

ჩვენი სურვილია, დავით წერედიანი მთაწმინდის ან დიდუბის პანთეონში მაინც დაიკრძალოს. თვითონ ახალშესვენებული მწერლისათვის ამას შეიძლება არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, ეს გვჭირდება ჩვენ და მომავალ თაობებს, ვისთვისაც დავით წერედიანი მუდამ იქნება ნიჭიერების, ოსტატობის, გემოვნებისა და მწერლური თავდადების ერთ-ერთი ნიშანსვეტი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# შერმადინი დეკემბრის საუკეთესო კალათბურთელია




ქართველი კალათბურთელებიდან ყველაზე წარმატებულად 2019 წელი გიორგი შერმადინმა დაასრულა. 30 წლის ქართველი ცენტრი ესპანეთის ჩემპიონატის დეკემბრის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

ტენერიფეს იბეროსტარის ქართველი ლიდერი მართლაც გამორჩეულ სეზონს ატარებს. ლიგა ენდესაში გასულ თვეში გამართული 5 ტურიდან შერმადინმა ორში მვპ-ის ტიტული დაიმსახურა. ქართველი კალათბურთელის მარგი ქმედების კოეფიციენტმა კი, რაც ყველა სტატისტიკური მონაცემის გამაერთიანებელი მაჩვენებელია, ამ 5 მატჩში საშუალოდ 24.6 შეადგინა, რაც ვარსკვლავებით სავსე ესპანურ ლიგაში საუკეთესო შედეგია.

დეკემბერში გამართული 5 მატჩიდან შერმადინის იბეროსტარმა მურსიას (85:78), მორაბანკ ანდორასა (86:76) და გრან კანარიას (100:79) სძლია, ბარსელონასთან (71:103) და ვალენსიასთან (91:98) კი წააგო.

საქართველოს ნაკრების კალათბურთელისთვის ყველაზე შედეგიანი კანარების დერბი გამოდგა, რომელშიც 32 ქულა ჩააგდო, სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 42-მდე აიყვანა და ორივე ამ მაჩვენებლის მხრივ, ესპანური კარიერის რეკორდები დაამყარა. უდავოდ გამოსარჩევია მურსიელებთან შეხვედრაც, რომელიც გიომ 25 ქულით დაასრულა.

საინტერესოა, რომ შერმადინი თვის საუკეთესო მოთამაშის ტიტულთან ახლოს ჯერ კიდევ ნოემბერში იყო, თუმცა, მაშინ ეფექტურობის კოეფიციენტით სწორედ მურსიელ ასკია ბუკერს სულ მცირედით ჩამორჩა: 23.25 გიორგის ჰქონდა, ხოლო 23.66 – ბუკერს.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ცენტი ესპანური ლიგის თვის კალათბურთელი უკვე მეხუთედ გახდა. შერმადინი 3-ჯერ (2013 წლის ოქტომბერი და დეკემბერი, 2014 წლის ოქტომბერი) მორაბანკ ანდორაში გამოარჩიეს, ერთხელ კი უნიკახაში (2018 წლის თებერვალი).

შერმადინი ლიდერებშია სრულიად სეზონის საუკეთესო მოთამაშეთა ნუსხაშიც. გიორგის საშუალო სარგებლიანობის კოეფიციენტი 24.33 გახლავთ და მხოლოდ ბარსელონის ვარსკვლავ ნიკოლა მიროტიჩს (24.57) ჩამორჩება.

ქართველი კალათბურთელის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 26:56 წუთი, 18.6 ქულა, 6.4 მოხსნა, 1.6 პასი.

როგორც უკვე გითხარით, ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტური შერმადინის ტენერიფე იბეროსტარისთვის წარუმატებელი გამოდგა. კუნძულელებმა წააგეს, თუმცა ქართველი თავისიანთაგან კვლავ საუკეთესო იყო.

ლიგა ენდესას მე-15 ტურში ტენერიფე სტუმრად ვალენსიას შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში – 91:98 დამარცხდა. ქართველ ცენტრს თამაში სასტარტო ხუთეულში არ დაუწყია, თუმცა ის მალევე გამოჩნდა მოედანზე და ტენერიფელთაგან საუკეთესო შედეგიც დააფიქსირა.

გიორგიმ მოედანზე 26 წუთი გაატარა და 17 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 პასი მოაგროვა.

ქართველმა ლეგიონერმა 13-დან 7 ორქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი კი ააცილა.

ესპანეთის ჩემპიონატში მე-15 ტურის შემდეგ ტენერიფეს 6 მარცხის წილ 9 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილი უკავია, მომდევნო მატჩს კი შინ ფუენლაბრადასთან გამართავს.

ახალ წელს გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსმა 2-მატჩიანი წარუმატებელი სერია შეწყვიტა და საკუთარ კედლებში აღმოსავლეთ კონფერენციის ერთ-ერთი ფავორიტი, ფილადელფია სიქსერსი დაამარცხა.

მაკმილანის შეგირდებმა შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარეს და მეტოქე 115:97 გაანადგურეს. თანაც ინდიანამ მატჩის ბედი სამ მეოთხედში გადაწყვიტა და ბოლო თორმეტწუთეულის წინ 30-ქულიან ჰანდიკაპს ფლობდა.

ფილადელფიასთან დაპირისპირებაში გოგამ პარკეტზე 8 წუთი გაატარა, რომლის დროსაც 6 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება მოინაგრა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და 2 სამიანი გააფუჭა.

ინდიანას 22 მოგება და 12 წაგება დაუგროვდა. პეისერსი აღმოსავლეთ კონფერენციის მე-5 ადგილს იკავებს და მომდევნო მატჩში საკუთარ კედლებში დენვერ ნაგითსს დაუხვდება.

# ჩავი: „გვარდიოლა ლიგას მოიგებს“



პრემიერლიგის გასული სეზონის ჩემპიონი მანჩესტერ სიტი შინაურ პირველობაზე წელს ყოჩაღად ვერ გამოიყურება. „ქალაქელები“ ლივერპულს გვარიანად ჩამორჩებიან და, თუ მერსისაიდელთა სათამაშო ფორმას გავითვალისწინებთ, ტიტულის შენარჩუნება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამას თავად სიტის თავკაცი, პეპ გვარდიოლაც კი აღიარებს.

ბარსელონის ყოფილ ფეხბურთელს, ჩავის მიაჩნია, რომ გვარდიოლა აქცენტს ჩემპიონთა ლიგაზე გააკეთებს. ალ-სადის მთავარმა მწვრთნელმა ექს-თავკაცის შესახებ ბრიტანულ მედიასთან ისაუბრა.

**ჩავი:**

– გვარდიოლა გამარჯვებულადაა დაბადებული. მისთვის მტკივნეულია, სიტი დიდი სხვაობით რომ ჩამორჩება ლივერპულს და ბრძოლას აუცილებლად გააგრძელებს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, საქმეს უფრო რეალისტურად მიუდგება. დღევანდელი გადმოსახედიდან ჩამორჩენა უზარმაზარია და პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ სიტი პრემიერ ლიგას ზედიზედ მესამედ ვერ მოიგებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, გვარდიოლა მთავარ პრიორიტეტად ჩემპიონთა ლიგის მოგებას დაისახავს.

სიტის რეალის წინააღმდეგ ორი ურთულესი შეხვედრა აქვს გასამართი და, შესაძლოა, ბლანკოსთან მატჩების წინ გვარდიოლამ ფეხბურთელები დაასვენოს. პეპის გუნდი პრემიერ ლიგისთვის ბრძოლაში რომ ყოფილიყო ჩართული, ეს შეუძლებელი იქნებოდა.

გვარდიოლას ყოველთვის ყველა ტიტულის მოგება უნდა, მაგრამ სეზონის სტარტზე მისთვის რომ გეკითხათ, რომელს აირჩევდა, დარწმუნებული ვარ, უპირატესობას ჩემპიონთა ლიგას მიანიჭებდა.

პეპმა სიტისთან ერთად საშინაო ასპარეზზე ყველა ტიტული მოიგო და იცის, რომ ჩემპიონთა ლიგის დასაკუთრება მის გუნდს მომდევნო ეტაპზე ასვლაში დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ პეპ გვარდიოლას გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობას 27 თებერვალს განაახლებს და მერვედფინალური ეტაპის პირველ შეხვედრას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადრიდის რეალთან გამართავს.

# ნადალი გვემუქრება, იაპონიას ნიშიკორი დააკლდება




საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები პერთშია და ახალი დაარსებული ატპ-ს თასის პირველი გათამაშებისთვის მზადებას განაგრძობს.

ატპ თასი დღეს დაიწყება და 12 იანვრამდე გასტანს, ავსტრალიის 3 ქალაქში (სიდნეი, ბრისბენი, პერთი) ჩატარდება და მასში მსოფლიოს 24 საუკეთესო ნაკრები ჩაერთვება. მათ შორის იქნება საქართველოს ნაკრებიც, რომელიც ამ ტურნირზე ნიკოლოზ ბასილაშვილის რეიტინგის წყალობით მოხვდა.

ტურნირის ტვიტერის გვერდზე საინტერესო პოსტი გამოქვეყნდა მინაწერით – მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელების ვარჯიში ატპ თასის დაწყებამდე.

ფოტო კოლაჟში 4 ჩოგბურთელი მოხვდა – საინტერესოა, რომ რაფაელ ნადალის, ჯონ ისნერისა და დავიდ გოფინის გვერდში საქართველოს ნაკრების ლიდერ ნიკოლოზ ბასილაშვილსაც ვხედავთ.

შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილსა და ნადალს ერთმანეთის პირისპირ დადგომაც მოუწევთ, რადგანაც საქართველო და ესპანეთი, ისევე, როგორც იაპონია და ურუგვაი, ერთ ჯგუფში არიან.

ბასილაშვილის გარდა, საქართველოს ღირსებას ალექსანდრე მეტრეველი, გიორგი ცივაძე, ალექსანდრე ბაკში და ზურა ტყემალაძე დაიცავენ, კაპიტანი კი დავით კვერნაძეა.

ქართველ ჩოგბურთელებს სასტარტო შეხვედრა 4 იანვარს ესპანეთთან ელით, რომელსაც განაცხადში რაფაელ ნადალი, რობერტო ბაუტისტა აგუტი, პაბლო კარენო ბუსტა, ალბერტ რამოს-ვინოლასი და ფელისიანო ლოპესი ჰყავს. 6-ში იაპონიასთან შერკინებაა დაგეგმილი, 8 იანვარს კი ურუგვაისთან მატჩი შედგება.

ჩვენი პირველი მეტოქის ლიდერმა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ესპანელმა რაფაელ ნადალმა ახალ საჩოგბურთო ტურნირზე ისაუბრა.

**რაფაელ ნადალი:**

– ამ ტურნირის მიმართ არ გვაქვს ისეთი დამოკიდებულება, თითქოს მას სხვა ტურნირებისთვის მოსამზადებლად განვიხილავდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიის ღია პირველობა მოახლოვდა, ახალ ტურნირში გამოსვლა წარმატებით გვსურს. ატპ-ს თასის შემდეგ ავსტრალიის ღიამდე მოსამზადებლად ერთი კვირა მექნება, სხვები კი ოკლენდსა და ადელაიდაში ითამაშებენ. მომავალი შეჯიბრებების სამზადისზე ვართ კონცენტრირებულნი. ჩვენ ვართ გუნდი, რომელიც მაქსიმუმისთვის იბრძოლებს. თუმცა, აქ არიან სხვა გუნდებიც, რომლებიც ასევე ემზადებიან.

როგორც გითხარით, ნადალმა 2020 წელი ატპ-ს რეიტინგის ლიდერად დაიწყო და უნიკალური მიღწევის ავტორი გახდა – 33 წლის ესპანელი პირველი ჩოგბურთელია ისტორიაში, რომელმაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი 3 სხვადასხვა დეკადაში იყო.

ნადალი ატპ-ს რეიტინგში პირველად 2008 წელს გალიდერდა, მას შემდეგ კი 5-ჯერ მოუწია სეზონის პირველ ადგილზე დამთავრება. ამასთან, ესპანელი პირველი ჩოგბურთელია ისტორიაში, ვინც სეზონი საუკეთესო ჩოგბურთელის რანგში 33 წლის ასაკში დაასრულა.

უფრო საინტერესო ინფორმაცია კი ის არის, რომ საქართველოს ნაკრების მეტოქე იაპონიის გუნდის შემადგენლობაში ცვლილებაა. ახალ ტურნირში არ ითამაშებს აზიური ნაკრების ლიდერი, მსოფლიოს მე-13 ჩოგანი კეი ნიშიკორი, რომელიც იდაყვზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციას აგრძელებს.

**კეი ნიშიკორი:**

– გადაწყვეტილება გუნდთან ერთად მივიღეთ. ჯერჯერობით არ ვარ სრულებით მზად, რათა უმაღლეს დონეზე ვითამაშო.

ატპ თასზე იაპონიის ნაკრებში კეი ნიშიკორის ადგილი 24 წლის იოშიჰიტო ნიშიოკამ დაიკავა, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 73-ეა. გუნდში მე-2 ნომერი კი ტოშიჰიდე მაცუი (117) იქნება.

## შედეგები

**1 იანვარი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-ასტონ ვილა ........ 1:2
ბრაიტონი-ჩელსი ........ 1:1
ნიუკასლი-ლესტერი ........ 0:3
საუთჰემპტონი-ტოტენჰემი ........ 1:0
უოტფორდი-ვულვზი ........ 2:1
ვესტ ჰემი-ბორნმუთი ........ 4:0
სიტი-ევერტონი ........ 2:1
ნორვიჩი-კრ.პალასი ........ 1:1
არსენალი-მანჩესტერი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 19 | 18 | 1 | 0 | 47-14 | 55 |
| 2.ლესტერი | 21 | 14 | 3 | 4 | 46-19 | 45 |
| 3.სიტი | 21 | 14 | 2 | 5 | 56-24 | 44 |
| 4.ჩელსი | 21 | 11 | 3 | 7 | 36-29 | 36 |
| 5.მანჩესტერი | 21 | 8 | 7 | 6 | 32-25 | 31 |
| 6.ტოტენჰემი | 21 | 8 | 6 | 7 | 36-30 | 30 |
| 7.ვულვზი | 21 | 7 | 9 | 5 | 30-27 | 30 |
| 8.შეფილდი | 20 | 7 | 8 | 5 | 23-19 | 29 |
| 9.კრ.პალასი | 21 | 7 | 7 | 7 | 19-23 | 28 |
| 10.არსენალი | 21 | 6 | 9 | 6 | 28-30 | 27 |
| 11.ევერტონი | 21 | 7 | 4 | 10 | 24-32 | 25 |
| 12.საუთჰემპტონი | 21 | 7 | 4 | 10 | 25-38 | 25 |
| 13.ნიუკასლი | 21 | 7 | 4 | 10 | 20-33 | 25 |
| 14.ბრაიტონი | 21 | 6 | 6 | 9 | 25-29 | 24 |
| 15.ბარნლი | 21 | 7 | 3 | 11 | 24-34 | 24 |
| 16.ვესტ ჰემი | 20 | 6 | 4 | 10 | 25-32 | 22 |
| 17.ასტონ ვილა | 21 | 6 | 3 | 12 | 27-37 | 21 |
| 18.ბორნმუთი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-32 | 20 |
| 19.უოტფორდი | 21 | 4 | 7 | 10 | 17-34 | 19 |
| 20.ნორვიჩი | 21 | 3 | 5 | 13 | 22-41 | 14 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მილუოლი-ლუთონი ........ 3:1
ბირმინგემი-უიგანი ........ 2:3
ბრისტოლი-ბრენტფორდი ........ 0:4
ქპრ-კარდიფი ........ 6:1
ნოტინგემი-ბლექბერნი ........ 3:2
პრესტონი-მიდლსბრო ........ 0:2
ფულემი-რედინგი ........ 1:2
ჰადერსფილდი-სტოკი ........ 2:5
უენსდი-ჰალი ........ 0:1
ვესტ ბრომვიჩი-ლიდსი ........ 1:1

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. მდინარის საშუალო წლიური დონე; 4. ფსიქიკური დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც ავადმყოფი დუმს, არ მოძრაობს, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. სამხატვრო გამოფენის გახსნა; 9. ბუღალტრული ბალანსის ნაწილი; 12. გარკვეული მიმართულებისა და მდგომარეობის მქონე სწორი ხაზის მონაკვეთი; 14. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 17. მრავალშრიანი ფანერა; 18. მარიონეტული თოჯინების სამართავი მოწყობილობა.

**თარაზულად**: 6. სხვადასხვა პოპულარული მოტივებისგან შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები; 7. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 8. შრომის, ცხოვრების, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 10. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 11. მეტალურგიაში – გამდნარი თუჯისგან ფოლადის მიმღები აპარატი; 13. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 16. აეროპორტი ნიუ იორკში; 19. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 20. შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი:**

**შვეულად:** 1. ლეჟავა; 2. მასკი; 3. პრიზმა; 4. ფურაჟი; 6. მორავია; 9. აგავა; 11. წერნაგი; 15. კურცხაარი; 16. ნადალი; 17. ავადხარა; 19. აქსიომა; 21. სტაიერი; 22. ცაცხვი.

**თარაზულად:** 5. სელექცია; 7. ორატორი; 8. არენდა; 10. იგრიკა; 12. ჟიჟკა; 13. ელესა; 14. რევოკაცია; 18. ლონჟა; 20. საბავე; 23. ჩალხია; 24. აისი; 25. ფელახი; 26. ვერე; 27. არითმია.

**სკანვორდი:**

**შვეულად:** 1. თაჯა; 2. რადიო; 3. გვარლი; 5. გოეთე; 6. ნორვეგია; 8. კონსილიუმი; 10. ჭიკარტი; 12. პარკერი; 14. აპნისი; 15. გალიფე; 16. ბჟუჟი.

**თარაზულად:** 1. თექურა; 4. აგარანი; 7. მადერა; 9. ლაზები; 11. ანაკლია; 12. პრობაცია; 13. ტაბორი; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ნანა კიკნაძე, შვილები მანანა და მარინე აბუთიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ აბუთიძე**

პანაშვიდი: 3, 4 იანვარს;
დაკრძალვა: კვირას, 5 იანვარს, 14 საათზე;
მისამართი: ბახტრიონის ქუჩა №12, II სადარბაზო, ბინა 28.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8661

ევრო — 3.2143

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7735

100 რუსული რუბლი — 4.6100

## ამინდის პროგნოზი 3 იანვრისთვის




## ამერიკის საელჩომ ახალი წელი გია ყანჩელის მელოდიით მოგვილოცა

ახალი 2020 წელი ამერიკის საელჩომ საქართველოში კომპოზიტორ გია ყანჩელის ნაწარმოებით „ის აქ არის“ მოგვილოცა.

– ახალ წელს გილოცავ, საქართველო! – ასეთია სპეციალურად გადაღებული ვიდეორგოლის სახელწოდება, რომელიც საელჩოს ოფიციალურ გვერდზე განთავსდა. ვიდეომ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი მოწონება, ბევრი გაზიარება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

## საქართველოს „ევროვიზია 2020“-ზე თორნიკე ყიფიანი წარადგენს



„ევროვიზია 2020“-ზე საქართველოს „იქს ფაქტორის“ გამარჯვებული თორნიკე ყიფიანი წარადგენს.

სწორედ თორნიკე გახდა „საქართველოს ვარსკვლავის“ მეორე სეზონის გამარჯვებული.

შოუს ფინალში გამარჯვებისთვის ოთხი მომღერალი იბრძოდა: თორნიკე ყიფიანი, ბარბარა სამხარაძე, თამარ კაკალაშვილი და მარიამ გოგიბერიძე.

მაყურებლის გადაწყვეტილებით, ფინალისტებიდან ყველაზე მეტი ხმა თორნიკე ყიფიანმა მიიღო და გამარჯვებულიც გახდა.

## მარიკო ებრალიძე დედა გახდა



თბილისის ბიგ ბენდის მომღერალი მარიკო ებრალიძე პირველ იანვარს დედა გახდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

მარიკოს პატარა ბიჭი გაგუას კლინიკაში დილის 5 საათზე გაჩნდა და 2020 წელს საქართველოში დაბადებული პირველი პატარაა.

მომღერალმა და მისმა მეუღლემ პატარას დანიელი დაარქვეს. ის მარიკოს მეორე შვილია.

## მაიკო კაჭკაჭიშვილს მანქანის საბურავი გაუჭრეს



კომპოზიტორსა და მომღერალს მაიკო კაჭკაჭიშვილს ახალი წლის პირველივე დღეს უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს.

მის მანქანას საბურავი გაუჭრეს:

– ვიცი, ვინც გამიჭრა საბურავი. ჩუმად ეგეთ გველობას არ სჯობია თქვა, რომ გინდოდა და გაჭერი? მშიშარა ვირთხები არიან.

## ასტროპროგნოზი

### 3 იანვრისთვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. **კურო** – ბედი გწყალობთ. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – თქვენი აქტიურობა დაფასდება და სასურველ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს განსაკუთრებით გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **ლომი** – განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნურაფერს დაგეგმავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი სულიერ წონასწორობას მოგიტანთ. პარტნიორების დარწმუნებას დაუბრკოლებლად მოახერხებთ. **სასწორი** – ყველა პრობლემა წარსულში რჩება. გიმართლებთ რომანტიკულ ურთიერთობებში. **მორიელი** – საქმიანი შეხვედრებისა და მივლინებებისათვის შესაფერისი დღეა. წინდაუხედაობა პრობლემებს შეგიქმნით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ მოვალეობას პირნათლად ასრულებთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება. **მერწყული** – პასიური, მშვიდი დღეა. კოლეგები და პარტნიორები მხარს გიჭერენ. **თევზები** – თვითდამკვიდრებას მშვენივრად ახერხებთ. ხელმძღვანელი პირები თქვენს მუშაობას სათანადოდ დააფასებენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– ახალი ამბები სკოლის გაკვეთილებივით არის...

– რას გულისხმობ?

– ბევრ ინფორმაციას იღებ, რომელიც შემდეგ ცხოვრებაში არაფერში გამოგადგება.

●●●

მამაკაცი უცხოელ სტუმარს ეუბნება:

– ჩვენთან ყველაზე ექსტრემალური თვე იანვარია!

– რატომ?

– ახალი წელი, ბედობა, შობა, ძველით ახალი წელი...

– და ძველით ახალი წელი რაღაა?

– საკონტროლო გასროლა ღვიძლში!

●●●

გოგო ბიჭს ეუბნება:

– ერთი მანქანა მომეწონა და უნდა ვიყიდო!

– გოგო, სად არის ისეთი ადგილი, საიდანაც ამდენ ფულს შოულობ? მეც მინდა!

– ჰოო, გიგი, შენ მასეთი ადგილი არ გაქვს!..

●●●

ტელეფონი რეკავს და, სანამ ცოლი ყურმილს აიღებს, ქმარი ეუბნება:

– თუ მიკითხეს, სახლში არ ვარ.

ცოლმა ყურმილი აიღო და პასუხობს:

– ჰო, მე ვარ, რა? არა, ქმარი სახლშია...

ქმარი საყვედურით:

– ხომ გთხოვე...

– ნუ ნერვიულობ, შენ არ გკითხულობენ...

●●●

ცოლი მეუღლისგან სმს-ს იღებს:

– მომიტაცეს უცხოპლანეტელებმა... ჩემზე ცდებს ატარებენ... უკვე დამასხეს სუნამოები, მომთხვარეს პომადებით, მთელი ზურგი დამიკაწრეს, ფული წამართვეს... შემპირდნენ, რომ ერთ საათში გამომიშვებენ.

## პოლ პოგბას ოპერაცია სჭირდება



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგ ნახევარმცველ პოლ პოგბას ტრავმა ისევ გაუმიზეზდა და მას, სავარაუდოდ, ოპერაცია დასჭირდება.

პოგბა დეკემბრის ბოლოს დაბრუნდა, თუმცა მალე ისევ ტრავმა მიიღო. მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელის ოლე გუნარ სოლსკიაერის აზრით, პოგბას ოპერაცია სჭირდება და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ის ბოლომდე გამოჯანმრთელებას. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანში დაუბრუნდება მოედანს პოგბა ოპერაციის შემდეგ და რამდენად შეძლებს ის ოპტიმალურ ფორმაში შესვლას.

## იბრაჰიმოვიჩი: „მილანს ძველ დიდებას დავუბრუნებ“



ზლატან იბრაჰიმოვიჩი უკვე მილანში იმყოფება და მალე ის გუნდთან ერთად ვარჯიშს დაიწყებს.

იბრამ გულშემატკივრებს მიმართა და მათ დაჰპირდა, რომ მილანს ძველ დიდებას დაუბრუნებს. ზლატანი უკვე თამაშობდა ამ გუნდში და მაშინ მილანელებმა იტალიის ჩემპიონატი მოიგეს:

– ბედნიერი ვარ, რომ მილანში დავბრუნდი, რადგან აქ საოცარი წლები მაქვს გატარებული. მინდა, რომ სან სიროზე ისევ ძველი მილანი იხილოს გულშემატკივარმა და ამას აუცილებლად შევძლებთ. მინდა, რომ ეს გუნდი იქ დაბრუნდეს, სადაც არის მისი ადგილი.

## გიორგი პაპუნაშვილი ამერიკაში არ წავა



გიორგი პაპუნაშვილი კარიერას, სავარაუდოდ, ისევ ესპანეთში გააგრძელებს. ამჟამად პაპუნაშვილი სარაგოსას ღირსებას იცავს, მაგრამ ის გუნდიდან წასვლას აპირებს. რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პაპუნაშვილი კარიერას ამერიკაში, კერძოდ კი დალასში გააგრძელებდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ტრანსფერი არ შედგა. ყველაზე რეალური ვარიანტი პაპუნაშვილისთვის სანტანდერის რასინგია, რომელიც სეგუნდა დივიზიონში თამაშობს და ამჟამად ბოლოსწინა ადგილზეა.

## მანუელ ნოიერი ბაიერნთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს



ბაიერნის მეკარე მანუელ ნოიერი გუნდთან მალე კონტრაქტს გაახანგრძლივებს და ის გუნდში 2023 წლის ჩათვლით დარჩება.

გაიზრდება მისი ანაზღაურება, თუმცა ზუსტი ციფრები არ სახელდება.

ნოიერს ბაიერნის ხელმძღვანელობასთან მცირე კონფლიქტი ჰქონდა, მაგრამ ეს კონფლიქტი ამოწურულია.

მანუელ ნოიერი ბოლო წლებში მუდმივად სახელდება მსოფლიოში საუკეთესო მეკარედ, ბაიერნის კარის დარაჯი კი ის 2011 წლიდან არის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## „მასტერშეფის“ გამარჯვებული ნუცა სურგულაძეა



კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ გამარჯვებული ნუცა სურგულაძე გახდა.

დაძაბული საკონკურსო ტურების შემდეგ შოუს ფინალში მოხვდნენ ნუცა სურგულაძე, გაგა ვარდანიძე და დიმუ მენაბდე. მათგან საუკეთესო კი ლევან კობიაშვილმა, კონსტანტინე თედელურმა და ლუკა ნაჭყებიამ ერთობლივად დაასახელეს.

„მასტერშეფის“ ფინალურ შოუში სამივე ფინალისტმა პროექტის სპონსორებისგან საჩუქრები და საგზურები მიიღო, გამარჯვებულს კი საჩუქრად გადაეცა ბინა ბათუმში, მოგზაურობა პარიზში და სხვადასხვა სამახსოვრო საჩუქარი.

**ნუცა სურგულაძე:**

– არც კი ვიცი, რით დავიწყო. მსგავსი ემოცია არასდროს მქონია. ყველაზე ბედნიერი ვარ, რადგან ასეთ საოცარ პროექტში მივიღე მონაწილეობა და მეტიც, გავიმარჯვე!

„მასტერშეფი“ ნიშნავს ჩემთვის ძალიან ბევრს, რადგან ამ გადაცემამ სრულიად ამოატრიალა ჩემი ცხოვრება და მაპოვნინა საყვარელი პროფესია. მახსოვს, ბავშვობაში როგორი აღფრთოვანებით ვუყურებდი კულინარიულ გადაცემებს და წარმოვიდგენდი ჩემს თავს მათ ადგილას. ვოცნებობდი, რომ მეც ერთ დღეს ეს ტიტული მერგებოდა, რასაც ჰქვია „მასტერშეფი“ და ვამაყობ, რომ პატარა ნუცას ავუხდინე ეს ოცნება!

მინდა, რომ ყველას გისურვოთ ოცნებების ახდენა, რადგან შეუძლებელი არაფერია, მთავარია, მიზანი დავისახოთ და ბოლომდე მივყვეთ მას! გვჯეროდეს ჩვენი თავის და ყველაფერი გამოვა! გისურვებთ, ჯადოსნური და ბედნიერი ცხოვრება გქონდეთ! დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ადამიანებს, რომლებიც გვერდში მედგნენ და დამეხმარნენ ჩემი ოცნების ახდენაში! ყველაზე მაგარ მონაწილეებს, რომლებთანაც ძალიან დავახლოვდი და ოჯახის წევრებივით შემიყვარდნენ.

„მასტერშეფი“ არის ბედნიერება ჩემთვის და ყველას გისურვებთ, რომ ეს ემოცია და ბედნიერება ოდესმე განიცადოთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. თაღლითი ბანქოს თამაშში; 2. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 3. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე; 4. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 6. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 9. ქვანახშირის უჰაეროდ გახურებით მიღებული საწვავი ნივთიერება; 11. მობილური კავშირგაბმულობის კომპანია საქართველოში; 15. ბრიტანელი კომიკოსი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. გულიანი კანფეტი; 19. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 21. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 22. ნარკოტიკული ნივთიერება.

**თარაზულად**: 5. ერთ-ერთი რელიგია; 7. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 10. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 12. კავკასიის ალპურ ზონაში გავრცელებული გარეული თხა; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. მიხეილ ლერმონტოვის დრამა; 18. ეკლესია-მონასტრებისთვის შემომწირველთა გვარ-სახელების სარეგისტრაციო წიგნი ძველად საქართველოში; 20. ქერისა და შვრიისგან დამზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 23. დროის მონაკვეთი კრივში; 24. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 25. აჭარული ცეკვა; 26. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 27. იტალიური რესტორანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა